ანგარიშის ფორმა №1

უნივერსიტეტთან არსებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების (ინსტიტუტის) დასახელება:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:

1) **საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების სტრატეგია**

მეცნიერების დარგი – ეკონომიკა
სამეცნიერო მიმართულებები: მაკროეკონომიკა, მიკროეკონომიკა, სექტორული ეკონომიკა, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, გარემოს დაცვის ეკონომიკური პრობლემები
პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები – 2023-2028 წ.წ.
2) **პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)**

1. **აბესაძე რამაზ** – პროექტის ხელმძღვანელი, შემსრულებელი
2. **პაპავა ვლადიმერ** – პროექტის სამეცნიერო კონსულტანტი, შემსრულებელი
3. **ბურდული ვახტანგ**– პროექტის თანახელმძღვანელი, შემსრულებელი
4. **ბერულავა გიორგი** – პროექტის თანახელმძღვანელი, შემსრულებელი
5. **ხუსკივაძე მამუკა** – პროექტის თანახელმძღვანელი, შემსრულებელი
6. **ჯავახიშვილი რევაზ** – პროექტის თანახელმძღვანელი, შემსრულებელი
7. **კვარაცხელია მურმან** – შემსრულებელი
8. **ბიბილაშვილი ნანა** – შემსრულებელი
9. **ცუცქირიძე მარინე** – შემსრულებელი
10. **ლაზარაშვილი თეა** – შემსრულებელი
11. **დათუნაშვილი ლინა** – შემსრულებელი
12. **კაკულია ეთერ**– შემსრულებელი
13. **თოთლაძე ლია** – შემსრულებელი
14. **ბერიშვილი ხათუნა** – შემსრულებელი
15. **ბრეგვაძე გიორგი** – შემსრულებელი
16. **დავლაშერიძე ნატა** – შემსრულებელი
17. **ქავთარაძე თენგიზ** – შემსრულებელი
18. **გოგოხია თემურ** – შემსრულებელი
19. **ქისტაური ნუნუ**– შემსრულებელი
20. **ქველაძე ქეთევან** – შემსრულებელი
21. **წერეთელი ზურაბ**– შემსრულებელი
22. **ჟორჟიკაშვილი ნინო** – შემსრულებელი
23. **დვალიშვილი ლია** – შემსრულებელი
24. **თეთრაული ციცინო** – შემსრულებელი
25. **მელაშვილი მედეა** – შემსრულებელი
26. **თაფლაძე თამუნა** – შემსრულებელი

27. **ნოზაძე ზურაბ** – შემსრულებელი
28. **კურატაშვილი ქრისტინე** – შემსრულებელი

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის და წყებისა და დამთავრების წლები

საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების სტრატეგია
მეცნიერების დარგი – ეკონომიკა
სამეცნიერო მიმართულებები: მაკროეკონომიკა, მიკროეკონომიკა, სექტორული ეკონომიკა, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, გარემოს დაცვის ეკონომიკური პრობლემები
პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები – 2023-2028 წ.წ.
2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **აბესაძე რამაზ** – პროექტის ხელმძღვანელი, შემსრულებელი
2. **პაპავა ვლადიმერ** – პროექტის სამეცნიერო კონსულტანტი, შემსრულებელი
3. **ბურდული ვახტანგ**– პროექტის თანახელმძღვანელი, შემსრულებელი
4. **ბერულავა გიორგი** – პროექტის თანახელმძღვანელი, შემსრულებელი
5. **ხუსკივაძე მამუკა** – პროექტის თანახელმძღვანელი, შემსრულებელი
6. **ჯავახიშვილი რევაზ** – პროექტის თანახელმძღვანელი, შემსრულებელი
7. **კვარაცხელია მურმან** – შემსრულებელი
8. **ბიბილაშვილი ნანა** – შემსრულებელი
9. **ცუცქირიძე მარინე** – შემსრულებელი
10. **ლაზარაშვილი თეა** – შემსრულებელი
11. **დათუნაშვილი ლინა** – შემსრულებელი
12. **კაკულია ეთერ**– შემსრულებელი
13. **თოთლაძე ლია** – შემსრულებელი
14. **ბერიშვილი ხათუნა** – შემსრულებელი
15. **ბრეგვაძე გიორგი** – შემსრულებელი
16. **დავლაშერიძე ნატა** – შემსრულებელი
17. **ქავთარაძე თენგიზ** – შემსრულებელი
18. **გოგოხია თემურ** – შემსრულებელი
19. **ქისტაური ნუნუ**– შემსრულებელი
20. **ქველაძე ქეთევან** – შემსრულებელი
21. **წერეთელი ზურაბ**– შემსრულებელი
22. **ჟორჟიკაშვილი ნინო** – შემსრულებელი
23. **დვალიშვილი ლია** – შემსრულებელი
24. **თეთრაული ციცინო** – შემსრულებელი
25. **მელაშვილი მედეა** – შემსრულებელი
26. **თაფლაძე თამუნა** – შემსრულებელი
27. **ნოზაძე ზურაბ** – შემსრულებელი
28. **კურატაშვილი ქრისტინე** – შემსრულებელი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მითითება: აქ უნდა მიუთითოთ გვარი. სახელი, გეგმური თემი სათაური და შემდეგ ანოტაცია ნომრების მიხედვით, სადაც ყურადღება გამახვილებული იქნება ძირითად შედეგებზე

1. აბესაძე რამაზ – საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების ძირითადი თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემები;
2. პაპავა ვლადიმერ – დეგლობალიზაციის პრობლემა და განახლებული გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევები;
3. ბურდული ვახტანგ – გლობალური ეკონომიკური საფრთხეები და მისი გავლენა ეროვნულ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე;
4. ბერულავა გიორგი, ცუცქირიძე მარინე – ეკონომიკური უსაფრთხოებისა და ეკონომიკური მდგრადობის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები: საერთაშორისო გამოცდილება;
5. კვარაცხელია მურმან – გლობალიზაცია და მისი ეროვნულ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული პრობლემები;
6. ლაზარაშვილი თეა – გლობალური სოციალური საფრთხეები და მისი ეროვნულ სოციალურ უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები;
7. ხუსკივაძე მამუკა – ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ევროკავშირის გამოცდილების განზოგადება;
8. ჯავახიშვილი რევაზ – ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის - აშშ-ს /ეკონომიკური და ეკოლოგიური/, იაპონიის /ეკონომიკური და სოციალური/ უსაფრთხოების სფეროში გამოცდილების განზოგადება;
9. დათუნაშვილი ლინა – გლობალური სასურსათო საფრთხეები და მათი ეროვნულ სასურსათო უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები;
10. აბესაძე რამაზ, ბიბილაშვილი ნანა, კურატაშვილკი ქრისტინე – საქართველოს სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების თეორეულ-მეთოდოლოგიური საკითხები;
11. თოთლაძე ლია, თაფლაძე თამუნა – ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოება ბენელუქსის ქვეყნებში;
12. ბერიშვილი ხათუნა – ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ზოგიერთი პოსტკომუნისტური ქვეყნის (რუსეთი, უკრაინა) გამოცდილება;
13. ბრეგვაძე გიორგი – გლობალური ეკონომიკური და ეკოლოგიური საფრთხეები და მათი მშენებლობის ეროვნული სექტორის უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები;
14. გოგოხია თემურ – ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგიური ასპექტები;
15. დავლაშერიძე ნატა – ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ევროკავშირში შემავალი ქვეყნების გამოცდილება;
16. კაკულია ეთერ – საწარმოების ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიულ-მეთოდოლოლოგიური საკითხები;
17. ქავთარაძე თენგიზ – გლობალური ეკონომიკური და ეკოლოგიური საფრთხეები და მათი ეროვნული სოფლის მეურნეობის უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები;
18. ქისტაური ნუნუ – ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნის (ჩინეთი, თურქეთი) გამოცდილება;
19. ქველაძე ქეთევან – გლობალური ეკოლოგოური საფრთხეები და მათი გავლენა ეროვნული ტურიზმის უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები;
20. წერეთელი ზურაბ – გლობალური ეკონომიკური საფრთხეები და მისი ეროვნული საწარმოს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები;

21. ჟორჟიკაშვილი ნინო – გლობალური ეკონომიკური საფრთხეები ჯანდაცვის სფეროში და მათი ეროვნული ჯანდაცვის უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები
22. დვალიშვილი ლია – გლობალური ეკოლოგიური საფრთხეები და მისი ეროვნულ ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები;
23. თეთრაული ციცინო – სოციალური უსაფრთხოების გამოცდილება ევროკავშირში;
24. მელაშვილი მედეა – სოციალური უსაფრთხოების გამოცდილება ამერიკის შეერთებულ შტატებში;
25. ნოზაძე ზურაბ – ეკოლოგიური უსაფრთხოების გამოცდილება იაპონიაში;

2.2.
1) ანოტაცია (ქართულად)

1. ეკონომიკური უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია. მისი უზრუნველყოფა ხელს უწყობს მომავალში ქვეყნის მდგრად განვითარებას, ძირეულ თვისებრივ ცვლილებებს ეკონომიკის ყველა დარგში საბოლოო ანგარიშით, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას. ნაშრომში გამოკვლეულია საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების ძირითადი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები.

ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების ძირითადი თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემების გასარკვევად, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს ეკონომიკური უსაფრთხოების არსი, შემდეგ გამოკვლეული იქნეს ქვეყნის ეკონომიკაში არსებული მდგომარეობა, განისაზღვროს გლობალური და ეროვნული ეკონომიკური და არაეკონომიკური საფრთხეები, ჩამოყალიბდეს ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებელთა სისტემა და დადგინდეს მათი ზღვრული სიდიდეები, შემუშავდეს ეკონომიკური უსაფრთხოების შემადგენელ ნაწილთა (ჩვენ შემთხვევაში რეგიონული, საფინანსო, ენერგრტიკული, სასურსათო და ორგანიზაციის) უსაფრთხოების მექანიზმები. საბოლოოდ, უნდა შემუშავდეს ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის მოდელი მოცემული ქვეყნისათვის, რომელშიდაც აისახება აქ მოყვანილი სამუშაოების შედეგები და ამ შედეგებზე დაფუძნებული ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ღონისძიებათა სისტემა.

ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოება დიდადაა დამოკიდებული მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე პროცესებზე, ამდენად უდიდესი მნიშვნელობა აქვს **გლობალურ უსაფრთხოებას**, რომელიც გულისხმობს უსაფრთხოების უზრუნველყოფას დედამიწაზე ცხოვრების პირობების გაუარესებისა და, საერთოდ, კაცობრიობის განადგურებისაგან. გლობალური უსაფრთხოების პრობლემები ეხება ყველა სახელმწიფოსა და თითოეულ ადამიანს. ეკონომიკური ხასიათის გლობალური საფრთხეებიდან აღსანიშნავია: **ეკონომიკური კრიზისები; ენერგეტიკული პრობლემა; სიღარიბის პრობლემა; სასურსათო პრობლემა; რესურსების ამოწურვის პრობლემა და სხვ. არაეკონომიკური ხასიათის გლობალური საფრთხეებიდან კი აღსანიშნავია: მშვიდობის დაცვა; განიარაღება და შეიარაღებაზე კონტროლის დაწესება; განვითარებადი ქვეყნების პრობლემები; დემოგრაფიული პრობლემები; ატმოსფეროს, წყლისა და ნიადაგის დაბინძურება; კლიმატის ცვლილება; კოსმოსის ათვისება; საერთაშორისო ტერორიზმი; ნარკობიზნესი; ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები; ადამიანის უფლებათა და თავისუფლების დაცვა; კულტურულ მრავალფეროვნებათა შენარჩუნება; კიბერუსაფრთხოება და სხვ.**

ეკონომიკური უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილებია: ფინანსური უსაფრთხოება, ენერგეტიკული უსაფრთხოება; სასურსათო უსაფრთხოება, ასევე მისი ცალკეული სფეროსა თუ დარგის უსაფრთხოება, როგორიცაა მრეწველობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ტურიზმი, ტრანზიტი, მცირე ბიზნესი და სხვ.

ეკონომიკური უსაფრთხოების შესწავლის დროს გამოკვლეული უნდა იყოს ეკონომიკაში

არსებული მდგომარეობა, კერძოდ: მაკროეკონომიკური, მიკროეკონომიკური, სექტორული და რეგიონული პრობლემები, ასევე ინოვაციური, ციფრული, ცოდნის, მწვანე და წრიული ეკონომიკის განვითარების დონე, რაზე დაყრდნობითაც განისაზღვრება ქვეყნის ძრითადი ეკონომიკური საფრთხეები, რომელთაგან შეიძლება დავასახელოთ: სიღარიბე; უმუშევრობა; ინფლაცია; შიგა და უცხოური ინვესტიციების შემცირება; საგარეო ვალის დიდი მოცულობა; სავალუტო კურსის ცვლილება; კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე; ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა; ინოვაციური, ცოდნის, „მწვანე“ და „წრიული“ ეკონომოკის, მრეწველობის, მცირე ბიზნესის, სოფლის მეურნეობის განვითარების დაბალი დონე; ინოვაციებში ინვესტიციების სიმცირე; უარყოფითი საგადამხდელო ბალანსი და ბალანსის არაპროგრესული სტრუქტურა; ჩრდილოვანი ეკონომიკის დიდი მოცულობა და სხვ.

ეკონომიკის არაეკონომიკური საფრთხეებიდან შეიძლება გამოიყოს: კრიმინოგენური დაძაბულობა; პოლიტიკური დაძაბულობა; სტიქიური მოვლენები; დემოგრაფიული დაძაბულობა; ნარკომანია; საერთაშორისო ტერორიზმი და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული; კიბერუსაფრთხოება, პანდემია და სხვა.

შემდეგ უნდა დადგინდეს ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლები და მათი ზღვრული სიდიდეები. ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლებიდან აღსანიშნავია: მშპ-ს მოცულობა; რეალური მშპ-ს მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე; საგარეო ვალის მოცულობა და მისი თანაფარდობა მშპ-თან; ბიუჯეტის დეფიციტის მოცულობა და მისი თანაფარდობა მშპ-თან; შიგა ვალის მოცულობა და მისი თანაფარდობა მშპ-თან; საგარეო და საშინაო ვალის მოცულობა და მისი თანაფარდობა მშპ-სა და ბიუჯეტის სიდიდესთან; დანახარჯების მოცულობა მეცნიერებაზე და მისი თანაფარდობა მშპ-თან; დანახარჯების მოცულობა განათლებაზე და მისი თანაფარდობა მშპ-თან; დანახარჯების მოცულობა ჯანდაცვაზე და მისი თანაფარდობა მშპ-თან; ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობა; კაპიტალის გადინების მოცულობა და მისი თანაფარდობა მშპ-თან; ძირითად კაპიტალზე ინვესტიციების მოცულობა და მისი თანაფარდობა მშპ-თან; ძირითადი კაპიტალის ცვეთის სიდიდე; დანახარჯების მოცულობა ტექნოლოგიურ ინოვაციებზე და მისი თანაფარდობა მშპ-სთან; ინვესტიციების მოცულობა ძირითად კაპიტალზე და მისი თანაფარდობა მშპ-თან; ეკონომიკის მონეტიზაციის დონე; სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წილი მშპ-ში; მცირე ბიზნესის ხვედრითი წილი მშპ-ში; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხვედრითი წილი მშპ-ში.

ამ მაჩვენებელთა ზღვრული სიდიდეები უნდა დადგინდეს საზღვარგარეთის ქვეყნების ანალოგიის, ქვეყანაში არსებული მდგომარეობისა და ექსპერტული შეფასებების საფუძველზე.

ენერგეტიკული უსაფრთხოების სტრატეგიის შესამუშავებლად, უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს ენერგეტიკულ სექტორში არსებული მდგომარეობა შემდეგი მახასიათებლების მიხედვით: ქვეყნის ენერგეტიკული ბალანსის სტრუქტურა; ქვეყნის ენერგიით თვითუზრუნველყოფის დონე; ენერგიის იმპორტის დივერსიფიკაციის ხარისხი; საერთაშორისო სატრანზიტო შესაძლებლობების გამოყენების ხარისხი; ენერგეტიკულ სისტემებში ჩართულობა; განახლებადი ენერგორესურსების ათვისების დონე; ენერგოობიექტების ამორტიზაციის მდგომარეობა; ენერგოეფექტიანობა (პროდუქციის ენერგო- და ელექტროტევადობა); ფასები ენერგიაზე; ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკა და სხვ.

ასევე უნდა მოხდეს ენერგეტიკული საფრთხეების განსაზღვრა, მთ შორის: გლობალური ენერგეტიკული საფრთხეები; ენგურჰესზე (რომელიც საქართველოს ჰიდროგენერაციის თითქმის ნახევარს გამოიმუშავებს) კონტროლის არარსებობა და ამ სადგურზე გამომუშავებული ელექტროენერგიის უკონტროლო მოხმარება აფხაზეთში; ელექტროენერგიისა და გაზის იმპორტზე მზარდი დამოკიდებულება; ბუნებრივი მოვლენების ან დივერსიული და სამხედრო ქმედებების შედეგად, ინფრასტრუქტურის ფიზიკური დაზიანება; კიბერშეტევები ინფრასტრუქტურაზე და მათი მუშაობის რეჟიმზე; ადგილობრივი რესურსების აუთვისებლობა; საერ-

თაშორისო ენერგეტიკული თანამშრომლობისა და სატრანზიტო შესაძლებლობების გამოყენებლობა; ენერგიაზე ფასების ზრდა; ენერგოეფექტიანობის დაბალი დონე (პროდუქციის ენერგო- და ელექტროტევადობის მაღალი სიდიდე); მოძველებული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის არსებობა; დანაკარგების დიდი ხვედრითი წილი ელექტროგადამცემ ქსელებში; გაზის საკუთარი ენერგოსაცავების უქონლობა და სხვ.

აუცილებელია განისაზღვროს ენერგეტიკული უსაფრთხოების მაჩვენებლები და დადგინდეს მათი ზღვრული სიდიდეები. ეს მაჩვენებლები შეიძლება იყოს: ელექტროენერგიის წარმოების მოცულობა; ენერგორესურსებისა და ელექტროენერგიის იმპორტის მოცულობა; ენერგეტიკული სიმძლავრეების სიდიდე; დანაკარგების სიდიდე ელექტროქსელში; პროდუქციის ენერგო- და ელექტროტევადობა; ქვეყნის ენერგორესურსების ათვისების დონე; ფასები ენერგიაზე; ფიზიკური და მორალური ცვეთა ენერგოსისტემაში; გარე და შიგა ინვესტიციების მოცულობა ენერგოსექტორში და სხვ.

ფინანსური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების დროს, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს ფინანსურ სექტორში არსებული მდგომარეობა ისეთ სფეროებში როგორიცაა: საბანკო სექტორი; სახელმწიფო ბიუჯეტი; საფონდო ბაზარი; საპენსიო ფონდი; საგადასახადო სისტემა;

ფინანსური საფრთხეებიდან აღსანიშნავია: სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი; საერთაშორისო რეზერვების სიმცირე; ფულადი მასის არაოპტიმალური სიდიდე; რეფინანსირების განაკვეთის არაოპტიმალური სიდიდე; მაღალი საპროცენტო განაკვეთი; მოსახლეობის მცირე შემოსავლები; დოლარიზაციის მაღალი დონე; საგარეო ვალების დიდი მოცულობა; უცხოური სესხების არაეფექტიანი გამოყენება; საკრედიტო თანხების არაწარმოებრივი მიზნებით გამოყენება; ჩრდილოვანი ეკონომიკის მაღალი დონე; საბიუჯეტო დეფიციტის დიდი მოცულობა; ვალუტის კურსის სწრაფი ცვლილება; არასწორი მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა; უარყოფითი სავაჭრო სალდო; ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპები; საფონდო ბაზრის განუვითარებლობა; ფულის გათეთრება; საკრედიტო რისკები; ლიკვიდობის რისკი; საგარეო ვალი; მცირე საერთაშორისო რეზერვები; თანამედროვე ტექნოლოგიების და საერთაშორისო სტანდარტების უქონლობა ფინანსურ სექტორში; არაოპტიმალური სარეზერვო ნორმა და სხვ.

ფინანსური უსაფრთხოების მაჩვენებლებიდან შეიძლება გამოიყოს: ბიუჯეტის დეფიციტის ხვედრითი წილი; საგარეო ვალის თანაფარდობა მშპ-თან; საერთაშორისო რეზერვების მოცულობა; საპროცენტო განაკვეთი; სავალუტო კურსი; სავაჭრო სალდო; ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობა; ფასიანი ქაღალდების ბაზრის მოცულობა და სხვ.

რეგიონული ეკონომიკური უსაფრთხოებასთან მიმართებით შესწავლილი უნდა იქნეს სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკა და რეგიონებში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა, მათ შორის: რეგიონის ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერების გათვალისწინებით; ქვეყნის ყველა რეგიონში ცხოვრების თანაბარი პირობების უზრუნველყოფა; რეგიონებში, მათი თავისებურებების გათვალისწინებით, სოციალურად ორიორენტირებული ეკონომიკის ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა; რეგიონებში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებისათვის ხელშეწყობა; ქვეყნის შიგნით მიგრაციის პროცესების დარეგულირება; რეგიონებში უმუშევრობისა და სიღარიბის შემცირებისათვის ხელშეწყობა; სახელმწიფო ბიუჯეტისა და სხვა წყაროების გამოყენება ფინანსური რესურსების გადასანაწილებლად რეგიონებს შორის; დახმარების გაწევა რეგიონებისათვის უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად; რეგიონების განვითარების ხელშემწყობი ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; რეგიონული განვითარების შემუშავება და განხორციელება, განსაკუთრებით სოფლის ეკონომიკის მიმართულებით; მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა; რეგიონების ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური პარამეტრები.

რეგიონის ეკონომიკური საფრთხეებიდან აღსანიშნავია: რეგიონის ბუნებრივი რესურსების აუთვისებლობა; რეგიონის ეკონომიკური დამოუკიდებლობის დაბალი დონე; რეგიონის ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონე (გზები, შიგა გზები სოფლად და სხვ.); საყოფაცხოვრებო პირობების დაბალი დონე; კრიმინოგენური სიტუაციის გაუარესება; მცირე ბიზნესის განვითარების დაბალი დონე და მის სახელმწიფო მხარდაჭერის არ არსებობა; უმუშევრობისა და სიღარიბის მაღალი დონე; ეკონომიკის არაინოვაციური ზრდა; შიგა მოხმარებაში იმპორტის დიდი მოცულობა; კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე; ცუდი ეკოლოგიური მდგომარეობა და სხვ.

შემდეგ უნდა განისაზღვროს რეგიონის ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლები და დადგინდეს მათი ზღვრული სიდიდეები. მაჩვენებლებიდან შეიძლება გამოიყოს: მრპ (მთლიანი რეგიონული პროდუქტი); ინვესტიციების მოცულობის ფარდობა მრპ-თან; შიგა მოხმარებაში იმპორტის მოცულობა; დანაზოგებისა და ინვესტიციების თანაფარდობა; უცხოური ინვესტიციების მოცულობა; დანახარჯები სამეცნიერო-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე; დანახარჯები ფუნდამენტურ კვლევებზე; მრპ მოსახლეობის ერთ სულზე; ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე; ეკოლოგიური პარამეტრების სიდიდეები და სხვ.

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის დროს გამოკვლეული უნდა იყოს სურსათით თვითუზრუნველყოფის ბაზის განვითარების დონე. შეიძლება გამოიყოს სოფლის ეკონომიკის შემდეგი სფეროები: სოფლის მეურნეობა მასში შემავალი დარგებისა (მეცხოველეობა, მემცენარეობა) და ქვედარგების (მიწათმოქმედება, მეფრინველეობა, და სხვ.) მიხედვით; მეთევზეობა; ტყის სასურსათო პოტენციალი; მოსახლეობის სურსათზე ფიზიკური მისაწვდომობის დონე; მოსახლეობის სურსათზე ეკონომიკური მისაწვდომობის დონე; სურსათის ექსპორტისა და იმპორტის მოცულობა, სურსათის იმპორტის ჩანაცვლება ადგილობრივი წარმოებით; სახელმწიფო ბიუჯეტში სასოფლო-სამეურნეო ასიგნებები; მცირე და საშუალო ფერმერებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების კაპიტალური ინვესტირების მიზნობრივი საგრანტო პროგრამების ყოველწლიური დაფინანსება; სასურსათო უსაფრთხოების ინსტიტუციური უზრუნველყოფა; სურსათის სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში მცირე და საშუალო მეწარმეებისა და ფერმერების ჩართვის წახალისება; გასტრონომიული და აგროტურიზმის ხელშეწყობა; სარწყავი სისტემების მშენებლობა და რეაბილიტაცია, მელიორაციული ღონისძიებების გატარება; სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალი ჯიშების გამოყვანა და გაშენება მწარმოებლურობისა და ინოვაციების დანერგვის გზით; სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის სისტემა; სურსათის სახელმწიფო შესყიდვების სისტემა; სოციალური და პოლიტიკური არასტაბილურობა; სასურსათო უსაფრთხოების ინსტიტუციური უზრუნველყოფა (სასურსათო უსაფრთხოების დოქტრინა, სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგია საქართველოს კანონი სასურსათო უსაფრთხოების შესახებ) და სხვ.

სასურსათო საფრთხეებიდან შეიძლება გამოიყოს: მაკროეკონომიკური რისკები (ცუდი საინვესტიციო გარემო, ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპები, განუვითარებელი ინსტიტუციები, სახელმწიფო რეგულირების არაეფექტიანი მექანიზმი და სხვ); ნათესი ფართობების შემცირება; ნიადაგის ეროზია; ეროვნული ვალუტის გაუფასურება; აგფლაცია; ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა; კლიმატის ცვლილებები და სტიქიური მოვლენები (სეტყვა, წყალდიდობა, გვალვა, მცენარეთა ან ცხოველთა დაავადებები, მიწისძვრები და სხვა საგანგებო სიტუაციები); საგარეო საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებები (სურსათზე ფასების ზრდა, ენერგიის გაძვირება, და სხვ.); მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის დაბალი დონე; ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებების შემცველობის პროდუქტების რეალიზაცია და სხვ.

საბოლოოდ უნდა განისაზღვროს სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებლები და დადგინდეს მათი ზღვრული მნიშვნელობები. ეს მაჩვენებლები შეიძლება იყოს: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობა პროდუქციის ცალკეულ სახეობათა მიხედვით;

სურსათის იმპორტის მოცულობა; სურსათის ექსპორტის მოცულობა; კვების დადგენილი ფიზიოლოგიური ნორმები და ასორტიმენტი; მოსახლეობის ეკონომიკური წვდომის უნარი საჭირო სურსათთან; სასურსათო კალათის შემადგენლობა; ინვესტიციების მოცულობა სოფლის მეურნეობაში; მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის დონე; აგფლაციის სიდიდე; ნიადაგის ეროზიის დონე და სხვ.

2. ნაშრომში განხილულია COVID-19-ის პანდემიით, ასევე რუსეთის ომით უკრაინაში და აგრესორის წინააღმდეგ დაწესებული ეკონომიკური სანქციებით გამოწვეული ფსევდოდეგლობალიზაციის პროცესი. ნაჩვენებია, რომ დეგლობალიზაცია, როგორც ასეთი, პრინციპულად შეუძლებელია და არცაა მიზანშეწონილი. შესწავლილია ჰიპერგლობალიზაციის ტრანსფორმაციის ეტაპები. როგორც მსოფლიოს, ისე ცალკეული ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევების გათვალიწინებით გაკეთებულია დასკვნა, რომ ახალი გლობალიზაცია ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებთან უშუალო კავშირში უნდა იყოს. ეკონომიკური უსაფრთხოების უშალო გამოწვევებია, მაღალი ინფლაცია, გლობალური სტაგფლაცია, სავალო კრიზისი, „ნავთობის ომი“, „სასურსათო ომი“ და სხვ. ყველა ამ გამოწვევას აქვს როგორც გლობალური, ისე ლოკალური ხასიათი.

3. ნაშრომში განხილულია და სისტემატიზებულია ელემენტები (ატრიბუტები, ინსტრუმენტები, მექანიზმები, ცნობიერი რეგლამენტატორები), რომლებიც უზრუნველყოფენ გლობალიზაციის რეალიზაციას საერთოდ და გლობალურ ეკონომიკურ განვითარებას კერძოდ. ჩატარებულია თანმიმდევრული ექსკურსი სხვადასხვა ისტორიული ეპოქის ძირითადი გლობალიზაციების მიხედვით, ამ გლობალიზაციებში ეკონომიკური და ჰუმანიტარული განვითარების დონის მდგომარების მოკლე დახასიათებით. განსაკუთრებული ყურადღებით ნაშრომში განხილულია რუსეთის იმპერიის (საბჭოთა კავშირის, რუსეთის ფედერაციის) სივრცეზე ელიტის ჩანაცვლების მცდელობები და მისი ჩანაცვლება გლობალიზაციის შესაბამის პერიოდებთან კონტექსტში. შემდეგ სისტემატიზებულია და მოკლედ გაშუქებულია ძირითადი ეკონომიკური საფრთხეები, დამახასიათებელი გლობალიზაციის უკანასკნელი პერიოდისათვის (ჰიპერგლობალიზაციისათვის – 1991-2015 წლები). ნაშრომის დასასრულს მოკლედ გაშუქებულია ზოგიერთი ასეთი საფრთხის გავლენა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე.

ამ ნაშრომის მიზანი იყო იმ ეკონომიკური საფრთხეების გამოვლენა, რომლებიც ჩნდება გლობალიზაციის ბოლო ეტაპის (ჰიპერგლობალიზაციის) განვითარების დროს და განაპირობებენ გლობალიზაციის ახალ ეტაპზე გადასვლის საჭიროებას, აგრეთვე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ამ საფრთხეების ზემოქმედების დადგენა ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე. ამ პრობლემის გადაჭრაზე გადასვლამდე, ნაშრომში შესწავლილია ბოლო პერიოდის გლობალიზაციათა განვითარების პროცესების ზოგადი სტრუქტურული პრობლემები, რათა გამოვლენილი და სისტემატიზებული ყოფილიყო მსოფლიო და სახელმწიფოს გავლენისა და ბიზნეს კოორდინაციის სტრუქტურები გლობალიზაციის განვითარების პროცესებზე.

ამიტომ, ნაშრომის პირველი თავის პირველ ქვეთავშში გამოვლენილია (ზოგიერთი კი შემოღებულია ჩემს მიერ), სისტემატიზებული და დახასიათებული სტრუქტურული ელემენტები (ატრიბუტები, კატეგორიები, ინსტრუმენტები, მექანიზმები და ა.შ.), რომლებიც უზრუნველყოფენ გლობალიზაციების მსვლელობასა და განვითარებას. ამ მრავალ ატრიბუტს შორის განიხილება; ორდენები (როზენკრეიცერების, იეზუიტების); ელიტები; ფინიკიელები (ანუ პუნები, ებრაელები, იუდეები, რაც ეროვნების ნიშნით ერთი და იგივეა); ისტორიული პროექტები, რომლებიც ცვლიან ისტორიის მიმდინარეობას და სოციალური ურთიერთობების ხასიათს; გლობალური მნიშვნელობის ფინანსური ცენტრები; კეთილი პუნები და პუნ ვამპირები. შემდეგ, გლობალიზაციის პროცესებში დიდი მნიშვნელობა აქვთ ისეთ კატეგორიებს, როგორიცაა სულიერება, ისტერიულობის პროვოცირება, ელიტების ჩანაცვლების ოპერაციები, მღვდელ-ბანდიტები (ან, რაც იგივეა, ღვთის ძაღლები), „პობორნიკები“, „ბიდლო“. გლობალიზაციის

ატრიბუტებია ასევე მედია, საიდუმლო სადაზვერვო ქსელები, საიდუმლო საინფორმაციო ქსელები. პირველი თავის მეორე ქვეთავში განიხილება ელიტის ჩანაცვლების ან შემოღობვის პროცესებში ისეთი ცნენების ურთიერთკავშირი, როგორიცაა პუნ-ვამპირები, ღვთის ძაღლები (псы господни) და ძაღლთა ელიტა (пся элита). შემოღობვა თავისთავად წარმოადგენს გლობალიზაციის კატეგორიას (ატრიბუტს) და შეიცავს კომპონენტების შემდეგ თანმიმდევრობას: 1. პროექტირება; 2. გადაკიდება; 3. „ელიტის“ ჩანაცვლება; 4. ძირითადი მკვიდრი მოსახლეობისათვის საცხოვრებელი პირობების შეცვლა. განხილულია შემოღობვის სხვადასხვა გლობალიზაციური პერიოდის რამდენიმე მაგალითი. განსაკუთრებული ყურდღება ეთმობა რუსეთის ფედერაციაში ინკვიზიტორული ბნელეშმაკური სისტემის შემოღებას. ამასთან დაკავშირებით მოყვანილია ფრანსუა მარი ვოლტერის შეხედულებები, რომელიც ჯერ კიდევ მე-18-ე საუკუნეში ებრძოდა რელიგიოზურ ფანატიზმს და ბნელეშმაკობას. შემოღობვის პროცესში ელიტის პუნ-ვამპირებით ჩანაცვლებისთვის მომზადების ერთ-ერთი ხერხი არის ამჟამინდელი ელიტის წევრებისა და თუნდაც ჩვეულებრივი ჭკვიანი ადამიანების (მათ შორის ბავშვების), რომლებიც მხარს უჭერენ არსებულ ელიტას ან თუნდაც უბრალოდ მათი აზრით „არასწორედ აზროვნებენ“, სროლით ან სხვაგვარად მოკვლა. ამ ქვეთავში მოცემულია ასეთი ქმედებების მაგალითები საბჭოთა კავშირის ისტორიიდან, როგორც ცნობილი, ასევე პირადი გამოცდილებიდან.

მეორე თავის პირველ ქვეთავში მოცემულია ყველა წინა გლობალიზაციის რეტროსპექტივა, მეორე ქვეთავში კი ელიტების ჩანაცვლებისა და მათი ჩანაცვლების მცდელობების პერიპეტიები რუსეთის იმპერიაში, სსრკ-ში და პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის მოტანილია ინფორმაცია პირადი გამოცდილებიდან.

მესამე თავში გამოვლენილია ჰიპერგლობალიზაციის ბოლო პერიოდისთვის დამახასიათებელი ძირითადი ეკონომიკური საფრთხეები. უპირველეს ყოვლისა, განიხილება უცხოელი მეცნიერების შეხედულებები, რომლებიც განსაზღვრავენ მიზეზებს, რის გამოც დასრულდა ჰიპერგლობალიზაცია. შემდეგ სისტემურად იდენტიფიცირებულია მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს ჰიპერგლობალიზაციის დასრულება. არც თუ ისე ბევრი ასეთი მიზეზია: 1. მოძველდა ეკონომიკის მოქმედი მოდელი. საჭიროა მისი გადასინჯვა იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს გლობალიზაციის შემდგომ ეტაპზე გადასვლა. 2. რესურსების გამწვავებადი დეფიციტის პირობებში რეალიზდებოდა ეკონომიკის სამომხარებლო მოდელი პრინციპის „უპირველეს ყოვლისა ბაზარია“ მიხედვით; 3. TNC-ები ცდილობენ გაანადგურონ კონკურენტი წარმოებები, ანუ ის წარმოებები, რომლებიც მათ არ ეკუთვნის; ჭარბი ფულადი კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა ჰიპერგლობალიზაციის წესების მიხედვით ზოგიერთ შემთხვევაში პრობლემას უქმნის მიმღებ ქვეყნებს; 5. ჰიპერგლობალიზაციის ერთ-ერთი მთავარი საშიშროებაა დასაქმებულთა პროცენტული რაოდენობის შემცირება რიგი მიზეზების გამო; 6. კაპიტალიზმის ტრადიციული მოდელის საკმარისი ქმედითუნარიანობის დაკარგვა; და სხვა.

მეოთხე თავში დადგენილია ჰიპერგლობალიზაციისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი საფრთხის გავლენა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე: 1. ჰიპერგლობალიზაციის წესების პირობებში ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მიღწევის სირთულე და შეუძლებლობაც კი; 2. საქართველოში სხვადასხვა გლობალური ჰიპერ- და სუპერმარკეტების გაჩენა, რომელთა საქმიანობის გამო ქვეყნის საგარეო ვალი უფრო სწრაფად იზრდება; 3. ჰიპერგლობალიზაციით გამოწვეული სტაგფლაციის პროცესების შედეგად ევროპაში ადრე დასაქმებული ბევრი მუშაკი იძულებული გახდა საქართველოში დაბრუნებულიყო; 4. და რა თქმა უნდა, გლობალური ინფლაციის პრობლემამ გვერდი არ აუარა საქართველოსაც.

4. კვლევაში განხილულია ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციები, რომლებიც ამჟამად არსებობს ეკონომიკურ ლიტერატურაში. არსებული მიდგომების მეთოდოლოგიური ჩარჩოების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოში ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხების განხილვის ყველაზე გამორჩეული მეთოდი ლინო ბრიგულიოს მიერ შემოთავაზებული მიდგომაა.

თანდაყოლილი ეკონომიკური მოწყვლადობისა და შექმნილი ეკონომიკური გამძლეობის ერთობლიობაზე დაყრდნობით, ეს მიდგომა ქმნის მეთოდოლოგიურ ჩარჩოს გარე შოკების ზემოქმედების შედეგად გამოწვეული რისკის შესაფასებლად. ამ მიდგომის მიხედვით, ქვეყნისთვის გარე შოკის უარყოფითი ზემოქმედების რისკი დადებითად არის დაკავშირებული ქვეყნის თანდაყოლილი მოწყვლადობის პირობებთან და უარყოფითად ასოცირდება კარგ ეკონომიკურ მმართველობასთან. ეს მეთოდოლოგიური ჩარჩო შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ინსტრუმენტი საქართველოში ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობის შესაფასებლად და ეკონომიკური მოწყვლადობის უარყოფითი შედეგების დასაძლევად მიმართული პოლიტიკის შემუშავების მიზნით.

5. გლობალიზაცია დღევანდელი კაცობრიობის შეუქცევადი პროცესი გახდა, რომელმაც ყველა სუვერენული ქვეყანა დააყენა გარკვეული პრობლემების წინაშე მისი უარყოფითი თვისებებიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში ერთ-ერთ გამოწვევად წარმოჩინდა ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა, რომელსაც საქართველოც ვერ ასცდება. ამ მიმართულებით ერთ-ერთ გლობალურ გამოწვევად გვესახება ჩვენი ქვეყნის იმპორტდამოკიდებულება, რომელიც ჯერ-ჯერობით უარყოფითი მაჩვენებლებით ხასიათდება. ასეთი ტენდენცია კი უფრო მეტად მგრძნობიარეა მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე მცირე და დიდი რყევებისადმი. ეს მოითხოვს მის მინიმუმამდე დაყვანას სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით.

საქართველოს ეკონომიკის ორნიშნა ციფრით ზრდა უკვე იძლევა გარკვეულ წინაპირობას იმისა, რომ ქვეყნის განვითარება პროგრესული გზით მიმდინარეობს. ეს გლობალურ პროცესებთან მიმართებაში ეკონომიკური უსაფრთხოების კუთხით მოსალოდნელ რყევებსაც თანდათანობით შეამცირებს.

6. საფრთხეები ცხოვრების შეუცვლელი თანამგზავრია და ინდივიდების, საზოგადოების, სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზეა თანმდევი, სიცოცხლის უსაფრთხოების კონტექსტში საფრთხე ეს ძირითადი ცნებაა, რომლის ქვეშ იგულისხმება შესაძლო ან/და რეალური მოვლენები, პროცესები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადამიანს და რომლებსაც შეუძლიათ გარკვეულ პირობებში ზიანი მიაყენოს მის ცხოვრებას და ჯანმრთელობას.

სხვადასხვა ქვეყნების შედარებითმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ სოციალური საფრთხეების შინაარსი, დონე, ხასიათი ცალკეულ ქვეყანაში განსხვავებულია, ისევე როგორც განსხვავებულია მათი აღქმა, მიდგომები და აღმოფხვრის გზები.

მაღალგანვითარებულ ქვეყნებში სოციალური საფრთხეები შენარჩუნებულია, მაგრამ მათი გამოვლინება შედარებით ნაკლები ხარისხით ხდება. ამ ქვეყნებში სოციალური სფერო იკავებს პრიორიტეტულ ადგილს და ხორციელდება ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობის ფენის მიმართ ეფექტური სოციალური დაცვა. პირველ პლანზეა წამოწეული არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ინფორმაციულ, ეკოლოგიურ, ტექნოლოგიურ, სამხედრო, სულიერ და საერთაშორისო დონეებზე.

სრულიად განსხვავებული სიტუაციაა განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში. არაეფექტური ეკონომიკა და პოლიტიკური არასტაბილურობა უარყოფითად აისახება სოციალურ სფეროზე, იწვევს საფრთხეების და საშიშროებების ზრდას, რომელიც მადესტაბილიზებელ ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის მდგომარეობაზე და არ იძლევა პროგრესული რეფორმების გატარების საშუალებას.

ამგვარად, მხოლოდ თავისი ბუნებით დემოკრატიული გარდაქმნა, სტაბილიზაცია პოლიტიკურ და ზრდა ეკონომიკურ სფეროში საშუალებას იძლევა აღმოიფხვრას სიღარიბის, არასამართლიანობის სოციალური ბაზა და ორგანიზებული დანაშაულების, სპონტანური აჯანყებების, შეაირაღებული კონფლიქტების და სხვა ლიკვიდირება მოახდინოს.

7. ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკა ევროკავშირში, რომელიც თანამედროვე პირობებში ევროპის კონტინენტზე მთავარი მოთამაშეა ეკოლოგიის სფეროში, წარმოადგენს მისი საქმია-

ნობის ერთ-ერთ ძირითად და პრიორიტეტულ მიმართულებას. იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად არსებული გლობალური ეკოლოგიური პრობლემების დაძლევა შეუძლებელია რომელიმე ერთი ქვეყნის ფარგლებში, მათი ტრანსსასაზღვრო ხასიათიდან გამომდინარე, ევროკავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ეფექტიანი საერთაშორისო პოლიტიკის ჩამოყალიბებას. ევროკავშირი ითვლება ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში მრავალი საერთაშორისო ნორმის შემოღების ინიციატორად 2001 წელს მიღებულ ევროკავშირის მდგრადი განვითარების და ეკოლოგიური უსაფრთხოების სტრატეგიის მთავარი მაგისტრალური ხაზი არის ეკოლოგიური ფაქტორების სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებთან თანაბარ დონეზე გათვალისწინება გადაწყვეტილებების მიღების დროს. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება და ეკოლოგიაზე უარყოფითი ანთროპოგენური ზემოქმედების შემცირება. თანამედროვე პირობებში ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტიტუციური მხარდაჭერა ევროკავშირში ხდება ძირითადად ევროპარლამენტის და ევროკომისიის მიერ.

ნაშრომში გაანალიზებულია ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის ცვლილება ეკოლოგიური უსაფრთხოების მიღწევის კონტექსტში, რამაც მას ახალი გლობალური მოთამაშის იმიჯი დაუმკვიდრა.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ევროკავშირის გამოცდილების განზოგადებას ეკოლოგიური კანონმდებლობის, ეკოლოგიური პოლიტიკის და ინსტიტუციური სტრუქტურების სრულყოფის მიმართულებით. აგრეთვე, ბუნებრივი რესურსების რაციონალური მართვის და გარემოს გაჭუჭყიანების კონტროლის საკითხების გაშუქებას.

8. წარმოდგენილი ნაშრომი შედგება ორი ნაწილისგან. პირველ ნაწილში განხილულია, ეკონომიკური განვითარების ცალკეული ეტაპების მიხედვით, აშშ-ს ეკონომიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემები, გაანალიზებულია ეკონომიკური და ეკოლოგიური საფრთხეების წარმოშობის საშინაო და საგარეო ფაქტორები და ნაჩვენებია მათი დაძლევის გზები. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ აშშ-ს ეკონომიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოების მთავარი გარანტი მისი ეკონომიკური სიძლიერეა. ქვეყანა აწარმოებს მსოფლიო მშპ-ს თითქმის ¼-ს (24,4%), რაც ეფუძნება მძლავრ ბუნებრივ-რესურსულ უზრუნველყოფას, უახლესი ტექნოლოგიების საფუძველზე ფორმირებულ სამრეწველო-ენერგეტიკულ ბაზას, მაღალგანვითრებულ სოფლის მეურნეობასა და აგრო-სამრეწველო კომპლექსს, რაც წარმოადგენს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მთავარ გარანტს.

ქვეყნის სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და სატრანსპორტო კომპლექსის მაღალი ტემპებით განვითარებას შედეგად მოსდევს მისი ბუნებრივი გარემოს დაბინძურება, რომლის ძირითადი მიმართულებებია: ჰაერისა და წყლის დაბინძურება, მყარი ნარჩენების ზრდა და სითბური ეფექტის გაძლიერება. ნაშრომში გაანალიზებულია გარემოს დაბინძურების გამომწვევი მიზეზები და ნაჩვენებია მათი დაძლევის გზები.

ნაშრომის მეორე ნაწილში განხილულია იაპონიის სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემები. ცნობილია, რომ სწორი ეკონომიკური პოლიტიკისა და სათანადო ეკონომიკური რეფორმების განხორციელებით, გასული საუკუნის მეორე ნახევარში ქვეყანამ მიაღწია არნახულ წარმატებებს, რომელიც ისტორიაში შევიდა „იაპონური სასწაულის“ სახელით. მიუხედავად ბოლო პერიოდში დიდი ეკონომიკური რყევებისა და ზრდის ტემპების შენელებისა, იგი მაინც ინარჩუნებს მაღალი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მქონე ქვეყნის სტატუსს. ნაშრომში გაანალიზებულია იაპონიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები, გამოვლენილია ამ მიმართულებით მიღწეული წარმატებები, არსებული გამოწვევები და ნაჩვენებია მათი დაძლევის გზები.

9. ნაშრომი ეძღვნება ისეთ მნიშვნელოვან პრობლემას, როგორიცაა გლობალური სასურსათო უსაფრთხოება და მისი გავლენა ეროვნულ სასურსათო უსაფრთხოებაზე. როგორც ცნობილია სურსათს, როგორც სასურსათო უზრუნველყოფის მთავარ კომპონენტს, სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება და ეროვნული უსაფრთხოების საერთო სისტემაში განმსაზღვრელი ადგილი უკავია.

სასურსათო უსაფრთხოების ცნება 1970-იან წლებში გაჩნდა და მას შემდეგ მუდმივად იხვეწება გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ამა თუ იმ დადგენილებებში. ნაშრომში განხილულია სასურსათო უსაფრთხოების ძირითადი მიმართულებები; სასურსათო პრობლემების არაერთგვაროვნება პლანეტის სხვადასხვა რეგიონში; გაანალზებულია სასურსათო კრიზისის მიზეზები და შემოთავაზებულია მისი გადაჭრის ძირითადი გზები; გამოკვლეულია ქვეყანაში არსებული მდგომარეობა და შემუშავებულია მისი გამოსწორების ღონისძიებათა სისტემა.

10. ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია **სოციალური და ეკოლოგიური უსაფთხოება,** რომლის საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური უსაფრთხოება. სოციალური და ეკოლოგიური უსაფთხოების სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის დაცვა სოციალური და ეკოლოგიური საფრთხეებისაგან, ნაშრომში გადმოცემულია აღნიშნული სტრატეგიის შემუშავების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები.

სოციალური უსაფრთხოება გულისხმობს საზოგადოების მდგრად განვითარებას, მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლებას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ამას უზრუნველყოფს როგორც ბიზნესი, ისე სახელმწიფო, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და სახელმწიფოს მიერ აქტიური და ეფექტიანი სოციალური პოლიტიკის გატარების შედეგად.

ეკოლოგიური უსაფრთხოება გულისხმობს როგორც გლობალური, ისე ლოკალური ეკოლოგიური საფრთხეების თავიდან აცილებას ეკონომიკური საქმიანობის დროს, ასევე ბუნების სტიქიური მოვლენების მიერ გამოწვეული ზიანის აღმოფხვრას.

აღნიშული სტრატეგიის შენუშავების დროს: გამოკვლეული უნდა იყოს ორივე ამ სფეროში არსებული მდგომარეობა; განისაზღვროს მოსალოდნელი საფრთხეები: ჩამოყალიბდეს სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების მაჩვენებლები და დადგინდეს მათი ზღვრული სიდიდეები; შემუშავდეს სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების სტრატეგიის ღონისძიებათა სისტემა.

სოციალურ სფეროში არსებული მდგომარეობის შესწავლის დროს შეიძლება გამოიყოს შემდეგი საკითხები: სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა; ცხოვრების დონე; სიღარიბე; უმუშევრობა; საშუალო ფენის ფორმირების არსებული მდგომარეობა; სამედიცინო მომსახურების ხარისხი და ხელმისაწვდომობა; პენსიების სიდიდე; დახმარებების სიდიდე; პანდემია და პანდემიის პრევენციისა და მართვის ეფექტიანობა; განათლებისა და ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობა; ფასები და სხვ.

სოციალური საფრთხეებიდან აღსანიშნავია: სახელმწიფოს არასწორი ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა; ბუნებრივი რესურსების სიმწირე; შემოსავლების სიმცირე; კვების ხარისხის შემცირება და ამის გამო სხვადასხვა სახის დაავადებათა წარმოშობა; სამედიცინო მომსახურების და ხელმისაწვდომლობის დაბალი დონე; განათლების დაბალი ხარისხი და ხელმისაწვდომობის დაბალი დონე; სურსათზე ხელმისაწვდომლობის დაბალი დონე; საცხოვრებელი პირობების გაუარესება; ეპიდემიისა და პანდემიის შედეგად წარმოშობილი პრობლემები; კრიმინოგენური სიტუაციის გაუარესება; ფასების ზრდა მსოფლიო ბაზარზე (ენერგიაზე, სურსათზე, საყოფაცხოვრებო საგნებზე); ეროვნული ვალუტის დევალვაცია და სხვ.

სოციალური უსაფრთხოების მაჩვენებლებიდან შეიძლება გამოიყოს: საშუალო რეალური ხელფასი; სიღარიბის დონე; უმუშევრობის დონე; სოციალური დახმარებების სიდიდე; ფასები

ენერგიაზე, სურსათზე, საყოფაცხოვრებო საგნებზე და წამლებზე; მოხუცებულობის პენსიის სიდიდე; საარსებო მინიმუმი; დემოგრაფიული მონაცემები; ჯინის კოეფიციენტი და სხვ. მაჩვენებელთა ზღვრული მნიშვნელობები უნდა დადგინდეს ანალოგიებისა და ექსპერტული შეფასებების შედეგად.

სოციალური უსაფრთხოების ღონისძიებათა სისტემიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი ღონისძიებები: სიღარიბისა და უმუშევრობის დონის შემცირება; ფასების სტაბილურობა; სავალუტო კურსის სტაბილურობა; შემოსავლების ზრდა; განათლების, მეცნიერებისა და ჯანდაცვის სისტემების სრულყოფა; საქონლისა (მათ შორის საწარმოო) და მომსახურების ახალ სახეობათა ათვისება და გამოყენება, რაც გაზრდის მოსახლეობის კეთილკდღეობის დონესა და კომფორტს და ა. შ.

გლობალური ეკოლოგიური უსაფრთხოების დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ გლობალურ ეკოლოგიურ საფრთხეებზე როგორიცაა: სათბური ეფექტი; ოზონის შრეში ხვრელების გაჩენა; ტყის გაჩეხვა; წყლის დაბინძურება; ატმოსფეროს დაბინძურება; ნიადაგის დაბინძურება; ოკეანის ზედაპირის დაბინძურება; ბიომრავალფეროვნების გაჩანაგება; ნარჩენების უტილიზაცია; ეკოლოგიური კატასტროფები; კლიმატის ცვლილება და სხვ. ამავე დროს ყურადღება უნდა გამახვილზე: საერთაშორისო გარემოსდაცვით ფორუმებზე; საერთაშორისო გარემოსდაცვითი კონვენციებზე; საერთაშორისო გარემოსდაცვითი ხელშეკრულებებზე; ევროკავშირისა და მოწინავე ქვეყნების გამოცდილებაზე გარემოსდაცვით სფეროში; მდგრადი განვითარების კონცეფციაზე; „მწვანე“ და „წრიულ“ ეკონომიკაზე.

ეროვნული ეკოლოგიური უსაფრთხოების შესწავლის დროს: უნდა დადგინდეს ქვეყანაში არსებული ეკოლოგიური სიტუაცია, რომლის დროსაც განიხილება შემდეგი სავარაუდო პრობლემები: ატმოსფეროს დაბინძურება; წყლის დაბინძურება; ნიადაგის დაბინძურება; ნარჩენების უტილიზაცია; რადიაციული და მავნე ნარჩენების განთავსება; ბუნებრივი რესურსების ათვისება; ალტერნატიული ენერგეტიკა; „მწვანე“ და „წრიული “ ეკონომიკის განვითარების დონე; საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო კონვენციებში, ხელშეკრულებებსა და გარემოსდაცვით ღონისძიებებში; გარემოსდაცვით სფეროში ევროკავშირისა და მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინება; ინსტიტუციური გარდაქმნები ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში; გარემოს დაცვის ინსტიტუციური უზრუნველყოფა; გარემოსდაცვითი პროგრამები; დაბინძურების ძირითადი წყაროები; ეკოლოგიური თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან; რეგიონული ეკოლოგიური პრობლემები და სხვ.

ქვეყნის ეკოლოგიური საფრთხეებიდან აღსანიშნავია: ატმოსფეროში მავნე გამონატყორცნების ზრდა; ნიადაგის დეგრადაცია, ეროზია, მეორადი დაჭაობება და დამლაშება; ტყის საფარის შემცირება; რადიოაქტიური და მავნე ნარჩენების ზრდა; ჩამონადენი წყლის ბიოლოგიური გაწმენდის უქონლობა; მდინარეების დაბინძურება აზოტის ნაერთებით, მძიმე ლითონებით, ნარჩენებით; ნიადაგის დიდი დანაკარგები; ავტომობილების გამონაბოლქვი; ბიომრავალფეროვნებათა შემცირება; „მწვანე“ და „წრიული“ ეკონომიკის განვითარების დაბალი დონე და სხვ.

ეკოლოგიური უსაფრთხოების მაჩვენებლებიდან შეიძლება გამოიყოს: ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მაჩვენებლები; წყლის (შავი ზღვის სანაპირო, ტბები, მდინარეები, გრუნტის წყლები) დაბინძურების მაჩვენებლები; ნიადაგის დაბინძურების მაჩვენებლები; დამაბინძურებლების ემისიები; დეგრადირებული მიწის რაოდენობა; გარემოს სანიტარულ-ჰიგიენური მაჩვენებლები; ხე-ტყის უკანონო ჭრის მოცულობა; ნახშირორჟანგის შემცველობა ატმოსფეროში; გრუნტის წყლების ხარისხი; ცალკეულ სექტორთა (ენერგეტიკა, მრეწველობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, ნარჩენები) გარემოზე ზემოქმედების მაჩვენებლები; ბიომრავალფეროვნების ცვლილების მაჩვენებლები; კლიმატის ცვლილების მაჩვენებლები; განახლებადი ენერგორესურსების გამოყენების დონე და სხვ.

ეკოლოგიური უსაფრთხოების ღონისძიებებიდან აღსანიშნავია: ეკოლოგიური უსაფრთ-ხოების ინსტიტუციური ბაზის სრულყოფა; გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კანონ-მდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების გაგრძელება; მდინარეების აზო-ტის ნაერთებით, ზოგიერთი - მძიმე ლითონებით, ნავთობპროდუქტებით, კომუნალური სექ-ტორის ნარჩენებით დაბინძურების აღკვეთა; ჩამდინარე წყლის სათანადო გაწმენდა; წყლის ბიოლოგიური გაწმენდა; ნიადაგის დაბინძურების, ეროზიული პროცესების, ნიადაგის მეორადი დაჭაობებისა და დამლაშების, სასარგებლო წიაღისეულისა და საშენ მასალათა ღია წესით მოპო-ვების, ადამიანის არასწორი სამეურნეო მოქმედების შედეგად ნიადაგის დანაკარგების შემცი-რება; უკანონო და უკონტროლო ხე-ტყის მოპოვების აკრძალვა; ატმოსფეროს ავტოტრანსპორ-ტითა და ენერგეტიკით დაბინძურების შემცირება; სერიოზული ადამიანთა ჯანმრთელობის უზ-რუნველყოფის გაუმჯობესება (სურსათის უვნებლობის, ქიმიკატების უსაფრთხო გამოყენების, ავტომობილების გამონაბოლქვის მავნე ზემოქმედების, საბანაო-სარეკრეაციო წყლების სანი-ტარულ-ჰიგიენური დაცულობის გაუმჯობესება და სხვ.); ბიომრავალფეროვნებათა შენარჩუნება (ჰაბიტატების კარგვა, ფრაგმენტაცია და დეგრადირება, უკანონო ნადირობა და თევზჭერა, უცხო სახეობების ინტროდუქცია, ბიოლოგიური რესურსების არამდგრადი გამოყენება და სხვ.); ფაქ-ტობრივად, დაცული ტერიტორიები მხოლოდ ბიომრავალფეროვნების დაცვისთვის, გამოყე-ნება; აღდგენადი და არატრადიციული ენერგორესურსების ათვისების გაუმჯობესება; ნარჩენების მართვის სისტემის სრულყოფა; გარემოსდაცვითი განათლების სისტემა გაძლიერება და ა. შ.

11. მდგრადი განვითარება, როგორც საზოგადოების განვითარების სისტემა, რომლის მიზანია საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალის-წინებით ადამიანის კეთილდღეობის, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდა, ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმად, დღევანდელობის მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს. იგი უპირველეს ყოვლისა ორიენტირებულია საზო-გადოების რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებ-რივი რესურსებითა და გარემოთი უზრუნველყოფაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომში განხილულია მდგრადი განვითარების ეკონო-მიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების თეორიული და ემპირიული ასპექტები ბენელუქსის ქვეყნების მაგალითზე. გაანალიზებულია გაეროს მეთოდოლოგიის თანახმად შე-მუშავებული ინდიკატორთა და მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც იძლევა ქვეყნის განვითა-რების ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ასპექტების შეფასების საშუალებას. სწორედ ამ ინდიკატორთა საფუძველზე შესწავლილია ბენელუქსის ქვეყნებში არსებული მდგომარეობა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყნების გამოცდილება როგორც სოციალური, ასევე ეკონომიკური კუთხით წარმოადგენს ერთ-ერთ წარმატებულს მსოფლიო მასშტაბით.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეკოლოგიურ ინდიკატორებს თეორიულ და პრაქტიკულ ჭრილში. ბენელუქსის ქვეყნების მოდელი ითვლება ერთ-ერთ წარმატებულ და საინტერესო მოდელად და ამიტომ ნაშრომში გაანალიზებულია ბენელუქსის ქვეყნების გარემოს-დაცვითი პოლიტიკის და ეკოლოგიური უსაფრთხოების თავისებურებები და შესაბამისი ინდი-კატორები.

12. 1980-იანი წლების ბოლოს რუსეთის ეკონომიკა ღრმა კრიზისში აღმოჩნდა, რომლის მიზეზი საკმაოდ რთული და მრავალფეროვანი იყო, დაწყებული საშინაო პოლიტიკიდან, დამთავრე-ბული სოციალურ-კულტურულამდე. თუმცა, გამწვავებული წინააღმდეგობების სირთულის მიუხედავად, ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული თემა იყო სოციალური მიმართულების სტრუქ-ტურის დისბალანსი და მისი განვითარების მექანიზმების ნაკლებობა. სსრკ-ს ეკონომიკის მილიტარიზაციამ და მონოპოლიზაციამ, მოქალაქეთა სამეწარმეო საქმიანობის ჩახშობასთან ერთად მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში, აგრეთვე სოციალური სექტორების მიმართულებით დაფინანსების ნაკლებობამ, წარმოშვა სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის

მწვავე პრობლემები, რაც უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით მკვეთრად ჩამორჩებოდა განვითარებულ ქვეყნებს. თანამედროვე რუსეთმა მემკვიდრეობით მიიღო პრობლემები და აღმოჩნდა ისეთ სიტუაციაში, როდესაც გადაუჭრელი სოციალური საკითხები ხელს უშლიდა შემდგომ ეკონომიკურ განვითარებას, საჭიროებდა პრობლემების დაუყოვნებლივ გადაწყვეტას და მოქმედი მექანიზმის ჩამოყალიბებას.

შესაბამისად, რეფორმების მიმდინარე ეტაპის ერთ-ერთი მთავარ ამოცანად მიიჩნეოდა სოციალური სფეროს პრიორიტეტული განვითარება. სახელმწიფოს გაზრდილმა შესაძლებ-ლობებმა, ახალი ეტაპი დაიწყო ქვეყნის თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, მოხდა ნაწილობრივი ე.წ. „სახელმწიფოს დაბრუნება“ დაკარგულ პოზიციებზე. საკითხები, რომლებიც დიდი ხანია ხელისუფლების მხრიდან სათანადო ყურადღების გარეშე დარჩა, უკვე კონტროლის ქვეშ მოექცა.

განვითარებადი ქვეყნების გადასვლა განვითარების პოსტინდუსტრიულ ეტაპზე, რომე-ლიც დაფუძნებულია არა მხოლოდ ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფ ზრდაზე, არამედ ადამიანური კაპიტალის ღირებულების განახლების განუყოფელ პროცესზე, არ შეიძლება იგნო-რირებული იყოს რუსეთის მიერ, რომელიც მიზნად ისახავს გაუთანაბრდეს განვითარებული ქვეყნების დონეს, რაც უზრუნველყოფს მოქალაქეების ცხოვრების ღირსეულ დონეს.

13. ნაშრომში გაანალიზებულია გლობალური და ეკონომიკური საფრთხეები და მათი მშენებლობის ეროვნული სექტორის უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები. დასახულია საქართველოში მშენებლობის სექტორში ეკონომიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოებისათვის საჭირო ზომების მისაღები ღონისძიებები.

14. ნაშრომში განხილულია ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების არსი და სტრატეგიული მნიშვნელობა მის ფუნქციონირებაში. დასაბუთებულია ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობის ანალიზისა და შეფასების და, შესაბამისად, ფირმაში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის შემუშავებისა და დანერგვის აუცილებლობა. ჩამოყალიბებულია ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციის მეთოდოლოგიური პრინციპები და მიდგომები.

15. ნაშრომში სისტემატიზებულია ევროკავშირის წევრი ქვეყნების ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების გამოცდილება ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთ-ხოების სფეროში და გაანალიზებულია მისი გამოყენების შესაძლებლობა საქართველოში. ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა, რომ ერის ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა გადამწყვეტ გავლენას ახდენს გლობალურ სამყაროში მკაფიო ადგილის უზრუნველყოფაზე, რომელიც ითვალისწინებს ერის ეროვნულ სტრატეგიულ ღირებულებას და პოტენციალს. განხილულია ევროკავშირის ქვეყნებში ეკონომი-კური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ყველაზე გავრცელებული გზები. ხაზგასმულია, რომ ბოლო ათწლეულებში სულ უფრო აქტუალური ხდება ევროკავშირის ერთიანი სოციალური პოლიტიკის ჩამოყალიბების ამოცანა. ევროკავშირის მიერ შემოთავაზებული ახალი ევროპული სოციალური მოდელი შეიცავს საზოგადოების ყველა სექტორის ურთიერთდაკავშირებისა და სოლიდარობის იდეას, სახელმწიფოების, სოციალური ინსტიტუტების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სოციალური პარტნიორების ძალისხმევის გაერთიანებით ახალი ძლიერი სოციალური ევროპის მშენებლობაში. რაც ასევე კეთდება და გაკეთდება ევროპის მწვანე გარიგებით და მომავალი 2030 წლის ციფრული ათწლეული წარმატებულია. ევროკავშირის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გარემოს-დაცვითი დღის წესრიგს. შვიდი „გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამა“ მიღებულია ევროპული ინსტიტუტების მიერ და მიმდინარე, მერვე ასეთი პროგრამა გათვლილია 2021-2030 წლებში. ის მიზნად ისახავს დააჩქაროს კლიმატის ნეიტრალიტეტზე გადასვლა, სუფთა და ეფექტური ენერგია და წრიული ეკონომიკა.

16. ნაშრომი ეძღვნება საწარმოების ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიულ-მეთოდოლო-ლოგიური საკითხების შესწავლას. შესწავლილია საწარმოს ეკონომიკრი უსაფრთხოების არსი, მნიშვნელობა, რომლის შედეგად მოცემულია საწარმოს ეკონომიკური ეფექტიანობის ავტორი-სეული ინტერპრატაცია. დღეისათვის, გამომდინარე იქიდან, რომ გაძლიერებულია საწარმოს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე გარე და შიგა ფაქტორების გავლენა, აუცილებელს ხდის ეკონომიკური უსაფრთხოების ისეთი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს მუშაობის ეფექტურობას და მდგრადობას, ფინანსურობას და ინფორმაციულობას, ინოვაციურობას, კონკურენტუნარიანობას და კადრების მაღალკვალიფიციურობას. ასევე საწარმოს ეკონომიური უსაფრთხოების სისტემა უნდა მოიცავდეს გარე და შიგა შემაშფოთებელი ფაქტორების გავლენით წარმოქმნილი რისკების შემცირების ღონისძიებებს.

ნაშრომში მოცემულია რეკომენდაციები საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების ეფექ-ტური სისტემის შემუშავების შესახებ. გამოკვეთილია საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინდიკატორების სისტემა, განსაზღვრულია ძირითადი მიმართულებები ფაქტორების ნეგატიური გავლენის შემცირებისათვის/ნეიტრალიზაციისთვის.

17. ნაშრომში შესწავლილია ეროვნული უსაფრთხოების გამტკიცების პრობლემა, რომლის ერთ ერთი შემადგენელი ნაწილია გლობალური ეკონომიკური უსაფრთხოება, დადგენიელია, რომ ქვეყნის გლობალური ეკონომიკური საკითხები მოიცავენ, როგორც გარეგანი ხასიათის საფრთხეებს ისე საშინაო საფრთხეებს, რომლებიც არანაკლებ ემუქრებიან ეკონომიკურ უსაფრხოებას. საუბარია ეკოლოგიურ საფრთხეებზე და მათ გავლენაზე საზამთრო და საზაფხულო საძოვრების პროდუქტიულობაზე, ნაშრომში მოცემულია ქვეყნის ეროვნული სოფლის მეურნეოის ეკონომიკური ჩამორჩენის ობიექტური და სუბიექტური მიზეზები, მათი დაძლევის ეკონომიკური და მეურნეობრივი ორგანიზაციული ღონისძიებები.

18. ნაშრომი ეძღვნება მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისათვის პირველხარისხოვან პრობლემებს, როგორიცაა: ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოება და აღნიშნულია, რომ თითოეული მათგანი ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი შემადგენელი ნაწილია. აქ მოყვანილია ამ პრობლემათა ამომწურავი განმარტებები, მათი შემადგენელი კომპონენტები, მაჩვენებელთა (ინდიკატორთა) სისტემები და თითოეული მათგანი დაწვრილებითაა გაშლილი. ნაშრომში განხილულია მიზეზები, რაც უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების ზოგად მაჩვენებლებზე, მითითებულია მათი აღმოფხვრის გზები.

ნაშრომი შესრულებულია ჩინეთის და თურქეთის მაგალითზე. განხილულია ამ ქვეყნებში ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების არსებული მდგომარეობა, მოყვანილია მათი მათი შედარება სხვა ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებთან და თითოეული მათგანის მთავრობათა მიერ დასახული მომავლის გეგმები. ეს ანალიზი გაკეთებულია საკმაოდ ფართო სტატისტიკური ციფრული მასალის საფუძველზე. ნაშრომში გაკეთებულია როგორც თურქეთში, ისე ჩინეთში აღნიშნული პრობლემების ანალიზის საფუძველზე შესაბამისი დასკვ-ნები, რომლებიც განზოგადოებულია.

19. ნაშრომი ეძღვნება დღევანდელობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას, როგორიცაა გლობალური ეკოლოგიური საფრთხეები. ავტორს აღნიშნული პრობლემა დაკავშირებული აქვს ეროვნული ტურიზმის უსაფრთხოების საკითხებთან. ასევე მითითებული აქვს გლობალური ეკოლოგიური საფრთხეების ძირითადი მიზეზები და, რომ ისინი უშუალოდ ეხება კაცობრიობის არსებობას საერთოდ. ავტორს მოყვანილი აქვს ეკოლოგიური საფრთხეების განმარტება, რომელიც მიღებულია და შემდგომ მუდმივად იხვეწება გაეროს სხვადასხვა დებულებების მიხედვით; აგრეთვე გაეროს მიერ მიღებული და ადგილობრივი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც არეგულირებენ ტურიზმის შემდგომ განვითარებას და მის შესაბამისობას ამა თუ იმ რეგიონის ეკოლოგიურ მდგომარეობასთან. ავტორს ჩატარებული აქვს ტურიზმის, როგორც

ეკოლოგიაზე დიდი ზემოქმედების მქონე დარგის მნიშვნელობის ანალიზი და მისი შემდგომი განვითარების გზები.

20. თემის აქტუალურობა გამოწვეულია საწარმოს მართვის ეფექტური სისტემის შექმნის აუცილებლობით, რაც დაფუძნებულია მისი მდგრადი განვითარების მექანიზმის ფორმირებაზე და შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების მექანიზმი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსოფლიოში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, რამაც გამოიწვია ეკონომიკური არასტაბილურობის ზრდა, ეკონომიკის მდგრადი განვითარების შესაძლებლობის მნიშვნელოვანი შემცირება, ამასთან დაკავშირებით საწარმოებს სჭირდებათ მუდმივი მონიტორინგი, საწარმოზე შიდა და გარე ფაქტორების გავლენის სრულფასოვანი შეფასება. ეკონომიკური განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე დიდი ყურადღება ექცევა მთელი ეროვნული ეკონომიკის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხს. ეროვნული ეკონომიკის განვითარების სტაბილურობა დამოკიდებულია ტერიტორიებისა და საწარმოების ეკონომიკური უსაფრთხოების განვითარების დონის სტაბილურობაზე, აღნიშნული წარმოშობს ეკონომიკური კვლევების აუცილებლობას, რაც საჭიროა არა მხოლოდ მეწარმეებისათვის, არამედ ხელისუფლებებისათვისაც. საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების დონე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად შეუძლიათ მის მმართველ პერსონალს (მენეჯერებს) და სპეციალისტებს თავიდან აიცილონ შესაძლო საფრთხეები და აღმოფხვრან შიდა და გარე გარემოს უარყოფითი ზემოქმედების შედეგები.

ნაშრომში წარმოდგენილია გლობალური ეკონომიკური საფრთხეები და მათი გავლენა საწარმოს ეკონომიკური განვითარების სტაბილურობაზე. თვალსაჩინოა იმ საფრთხეების განეიტრალების პრობლემის გადაწყვეტისთვის საჭირო აქტიურობისა და გზების ძიების მცდელობა, რომლებიც საწარმოს ეკონომიკის სტაბილურ განვითარებაზე მოქმედებს.

21. Covid 19 პანდემიამ რადიკალურად შეცვალა თითოეული სახელმწიფოს წესწყობილება, დღის წერიგში დადგა პოლიტიკური და ეკონომიკური მოწყობის გადახედვის და მნიშვნელოვანი გარდაქმების განხორციელების საკითხები. გლობალური პანდემია როდი წარმოადგენს მხოლოდ ვიწრო გაგებით სამედიცინო ხასიათის გამოწვევას. რეალურად, COVID-19 სერიოზული გამოწვევების წინაშე აყენებს შიდა და საგარეო ურთიერთობის სისტემებს, თვისობრივად ახალ აქცენტებს შემოიტანს არა მხოლოდ ადამიანთა შორის კონტაქტებში, არამედ საერთაშორისო ურთიერთობების დღემდე არსებულ ფორმაციაში. ვირუსით გამოწვეული ეკონომიკური და ფინანსური ზარალი უკვე ტრილიონობით დოლარს ითვლის, თუმცა, ციფრობრივი მაჩვენებლის გარდა უმთავრესია არსებული გლობალური ეკონომიკური წესწყობილების მოშლისა და მისი სრულიად ახალ პრინციპებზე გადაწყობის პროცესები. პანდემიამ გამოკვეთა თანამედროვე გლობალიზაციის სუსტი მხარეები და დღის წესრიგში დააყენა რიგი საკითხების ახლებურად გააზრების აუცილებლობა როგორც ეროვნულ, ასევე გლობალურ დონეზე. ნაშრომში განხილულია ჯანდაცვის სისტემაში არსებული საფრთხეები, განსაკუთრებით კი Covid 19 პანდემიის უარყოფითი შედეგების გავლენა როგორც მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ასევე გლობალურ და ეროვნულ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე. გამოკვეთილია ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ცნება, კონცეფცია და ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია საქართველოსათვის და მისი მნიშვნელობა, საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმა პანდემიის უარყოფითი შედეგების დასაძლევად, Covid 19-ის ზეგავლენა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორზე, ფისკალური პოლიტიკის მდგრადობის საკითხები აღნიშნულ ჭრილში, თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რეკომენდაციები ჯანდაცვის სექტორში არსებული პრობლემების დასაძლევად და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

22. ნაშრომში მიმოხილულია კლიმატის ცვლილების, როგორც ერთ-ერთი გლობალური საფრთხის, მის მიერ გამოწვეული კატასტროფებისა და სტიქიური მოვლენების შესახებ.

აღნიშნულია კლიმატის ცვლილებით გარემოზე ზეგავლენის შედეგებისა და მასშტაბების, შეცვლილი ბუნებისა და ეკოსისტემების, ,,სათბურის ეფექტით“ გამოწვეული მავნე შედეგების ინტენსივობის თაობაზე. ეკოლოგიური საფრთხეების შემცირებისა და მათი შედეგების შემსუბუქების საკითხებში საბაზისო გადაწყვეტილებების შესახებ.

გამოკვეთილია კლიმატის რყევაზე მოსახლეობის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების დამოკიდებულება, კლიმატის ცვლილებებიდან გამომდინარე გარკვეული პროგნოზების მოცემულობა. საქართველოს ტერიტორიაზე ცალკეული სტიქიური მოვლენისა თუ კატასტ-როფის ამსახველი მდგომარეობის შეფასება.

მითითებულია პრობლემის მოგვარების გზაზე თითოეული ჩვენგანის როლისა და ფუნქციური მონაწილეობის განსაზღვრაზე. განსაკუთრებით გამოკვეთილია სამთავრობო უწყებების მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების ჰარმონიული ერთობ-ლიობის თაობაზე.

23. ნაშრომში განხილულია სოციალური უსაფრთხოების გამოცდილება ევროკავშირში, მისი სტრატეგია და ბერკეტები რომელსაც იყენებს დასაქმების, ჯანდაცვის, განათლების და ა.შ. სექტორში. გაშუქებულია ევროკავშირის არსი, მიზნები და ამოცანები. გაანალიზებულია სოციალური ინოვაციების როლი და მნიშვნელობა. დახასიათებულია ევროკავშირში ინტეგრაციის სტანდარტები, რეკომენდაციები და მოთხოვნები. მიმოხილულია სოციალური ეკონომიკის ზოგიერთი საკითხი.

24. ნაშრომი ეძღვნება დღევანდელობისათვის ისეთ მწვავე პრობლემას, როგორიცაა სოციალური უსაფრთხოება, რომელიც ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. ავტორს მითითებული აქვს, რომ ეროვნული უსაფრთხოება, როგორც უმნიშვნელოვანესი ამოცანა პირველად ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში - 1904 წელს ახსენა თ. რუზველტმა პანამის არხთან დაკავშირებით. ნაშრომში მოყვანილია სოციალური უსაფრთხოების განმარტება; მისი, როგორც პრობლემის მიზეზები; ინდიკატორთა სისტემა.

ნაშრომი შესრულებულია აშშ-ს მაგალითზე. განხილულია სოციალური პოლიტიკის ეკონომიკური, სამართლებრივი აქტები, რომლებიც ქვეყანაში არეგულირებს სოციალურ პოლიტიკას. განხილულია ქვეყნის სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა პუნქტების მიხედვით და ჩატარებულია მათი ანალიზი ბოლო წლების ციფრობრივი მონაცემების საფუძველზე.

25. ნაშრომში განხილულია იპონიის ძირითადი ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელების ისტორია და პრინციპები. გაანალიზებულია იაპონიაში მიმდინარე ეკოლოგიური მდგო-მარეობა, დასახულია კონკრეტული მიმართულებები და გზები არსებული პრობლემების გადაჭრისთვის. მოცემულია ეკოლოგიური უსაფრთხოების გნხორციელების მთავარი პრინ-ციპები და ღონისძიებები.

იაპონიამ, მიუხედავად ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპებისა, მოახერხა გადაეჭრა ეკოლოგიური პრობლემები, რომლებიც დაკავშირებული იყო სამრეწველო დაბინ-ძურებასთან. მისი გამოცდილება ამ სფეროში. იაპონიის ისტორიული ეპოქალური გადაწყვე-ტილება იყო „ოზონის ფენის დაცვის შესახებ“ კანონის მიღება. მან მიიღო მისი „ძირითადი ეკოლოგიური კანონის“ განახლებული ვერსია, რომელმაც საფუძველი დაუდო ახალ ეკო-ლოგიურ პოლიტიკას, რისი გაზიარებაც მოახდინა მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ. იაპონიამ შერამცირა მავნე გაზების გამოფრქვევა ატმოსფეროში და შედის იმ ქვეყნების ხუთეულში, რომლებიც პასუხისმგებლები არიან კლიმატის ცვლილების პრობლემებზე. მას შეაქვს უდიდესი წვლილი ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების შექმნისა და დაბერგვის საქმეში. სუფთა ჰაერი-სათვის ბრძოლის მიმართულებით იაპონიაში იქმნება უფრო სრულყოფილი ძრავები სატრანს-პორტო საშუალებებისათვის, ინერგება ელექტრომძრავიანი ტანსპორტი, კერძოდ, ჰიბრიდული ავტომობილები, რომელთაც გააჩნიათ საწვავის მაღალი ეკონომია და ნაკლები გამონაბოლქვი.

განხილულია ეკოლოგიური უსაფრთხოების საქმეში ადამიანური ფაქტორის მთავარი როლისა და მნიშვნელობის შესახებ. განხილულია კონკრეტული წინადადებები იაპონიაში ,,მწვანე მაღალტექნოლოგიური განვითარების„ მიღწევისათვის და გაუმჯობესებისათვის.

3. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1.**ბერიშვილი ხათუნა. გრანტი**: SP-2-21 351 **„კროს-კულტურული ურთიერთობები საერთაშორისო ბიზნესში“** 2021-2022 წლები. დარგი - ბიზნესის ადმინისტრირება, საერთაშორისო ბიზნესი.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. შენგელია თ. (ხელმძღვანელი), **ბერიშვილი ხ.** (მონაწილე), ჟორჟოლიანი თ. (მონაწილე), გასვიანი ბ. (მონაწილე).

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2022 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები.

საერთაშორისო ბიზნესის კვლევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროს წარმოადგენს კულტურული სხვადასხვაობის ფენომენი და კულტურული მრავალფეროვნების სწორი და ადეკვატური აღქმა მრავალეროვნული კომპანიების მართვის პროცესში. კროს-კულტურული ანალიზი და მისი შედეგების გამოყენება თანამედროვე საერთაშორისო ბიზნესის მართვის მნიშვნელოვანი სფეროა. დედამიწის მოსახლეობის პალიტრა მრავალფეროვანია, შესაბამისად ცალკეული ერების და ეთნიკური ჯგუფების კულტურული თავისებურებების გათვალისწინება და მათი ჩაყენება თანამედროვე ბიზნესის სამსახურში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს, რომლის გადაწყვეტაზე მუშაობენ, როგორც კულტუროლოგიური, ფსიქოლო-გიური, სოციალური ასევე ეკონომიკური მეცნიერებანი. კროს-კულტურული ურთიერთობანი გლობალურ ბიზნესში კარგა ხანია გახდა მულტიდისციპლინარული კვლევის სფერო. წი-ნამდებარე კვლევაში ქროს- კულტურული ურთიერთობების დინამიური ანალიზი წარმოდ-გენილია, როგორც საერთაშორისო კომპანიის კონკურენციული უპირატესობის წყარო.

საერთაშორისო ბიზნესი მრავალფეროვანია იმიტომ, რომ ქვეყნები კულტურული ღირებულებებით განსხავდებიან ერთმანეთისგან. ბიზნესის წარმატება განსხავავებულ ქვეყნებ-ში მოითხოვს კულტურათაშორისო განათლებას (cross-cultural literacy)-ს. უკანასკნელში ჩვენ ვგულისხმობთ იმის ცოდნას თუ ერების კულტურას შორის განსხვავებას რა გავლენის მოხდენა შეუძლია ბიზნესის კეთების მეთოდებზე. გლობალური კომუნიკაციების, ტრანსპორტირების და გლობალური ბაზრების სწრაფი განვითარების პერიოდში, მაშინ როდესაც "გლობალური მსოფლიოს" დრო სულ უფრო ახლოსაა, მხედველობიდან შეიძლება გამოგვრჩეს ის დიდი სხვაობა, რომელიც არსებობს ხალხის კულტურებს შორის. მოდერნიზმის ბრწყინვალების ქვეშ, ღრმა კულტურული სხვაობანი მაინც რჩებაა. როგორც წესი დასავლეთის მოქალაქეებს, მიაჩნიათ, რომ თუ მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ხალხი ატარებს ლურჯ ჯინსებს, უსმენს დასავლურ პოპულარულ მუსიკას, იკვებება "მაკდონალდში" და სვამს "კოკა-კოლას", ისინი იზიარებენ დასავლური კულტურის ძირითად ღირებულებებს. მაგრამ ეს რომ ასე არ არის ნათლად ჩანს შემდეგი მაგალითად: ჩინელები თანდათანობით იძენენ თანამედროვე საზოგადოების ელემენტებს. ყველა ვინც თბილისში ჩამოდის, არ შეიძლება არ გაოცდეს

ქალაქის ძველი და თანამედროვე არქიტექტურის სიმბიოზით. Mმაგრამ საქართველოში დასავლური მოდენრნიზმის ბრწყინვალების ქვეშ, უძველესი კულტურული ტრადიციები იმალება, როლებსაც ფესვები 3000 წლის წინათ აქვთ გადგმული და ისინი ჯერ კიდევ მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ ბიზნესის წარმოებაზე.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ბერიშვილი ხ.**, შენგელია თ., ჟორჟოლიანი თ., გასვიანი ბ.-საერთაშორისო ბიზნესის კროსკულტურული ურთიერთობები. ISBN 978-9941-33-249-4; თბ., „უნივერსალი“ 2022. **(მონოგრაფია)**. 483 გვ.
2. **პაპავა ვლადიმერ,** ჭარაია ვახტანგ. „საქართველო-იაპონია: ეკონომიკური პარტნიორობის პერსპექტივები“.(ქართულ-ინგლისურ ენებზე), თბილისი, GFSIS, 2022, (DOI 10.13140/RG.2.2.23252.27526), ISBN 978-9941-8-4253-5; **(ანალიტიკური ბროშურა).**
3. **პაპავა ვლადიმერ.** „პანდექსიტის ძირითადი ეკონომიკური გამოწვევები“(ქართულ-ინგლისურ ენებზე), თბილისი, GFSIS, 2022. (DOI 10.13140/RG.2.2.24592.48642), ISBN 978-9941-8-4254-2; **(ანალიტიკური ბროშურა).**

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. თანამედროვე ბიზნესი წარმოუდგენელია კროსკულტურული პრობლემების სწორი გააზრების, მათი ადეკვატური შემეცნების გარეშე. გლობალიზაციის შედეგად ბიზნესის ტრანს-ნაციონალიზაციამ საფუძველი ჩაუყარა კულტურული ფაქტორის პრიორიტეტს საქმიანი ურთიერთობების სფეროში, რის შედეგადაც კროსკულტურული განსხვავებების შესწავლა გახდა წარმატებული ბიზნესსაქმიანობის საფუძველი. კულტურული სხვადასხვაობის გაუთვალისწინებლობა მნიშვნელოვნად ზღუდავს თანამედროვე ბიზნესის შესაძლებლობებს. ადამიანების ცნობიერების ჩამოყალიბება მიმდინარეობს ცოდნის, რწმენის, მორალის, კანონების, ღირებულებების, ნორმებისა და იმ ჩვევების საფუძველზე, რომლებსაც ისინი იძენენ საზოგადოებრივი თანაცხოვრების, ერთობლივი მატერიალური საქმიანობის წარმართვის პროცესში. შესაბამისად, მხოლოდ განსხვავებული კულტურული ღირებულებებისა და ნორმების მქონე საზოგადოების სწორი შემეცნების, მისი ტრადიციების სწორი აღქმის გარეშე შეუძლებელია წარმატებული ბიზნესსაქმიანობა. ამ კონტექსტში მეტად მნიშვნელოვანია საერთაშორისო ბიზნესის კროსკულტურული ურთიერთობების შესწავლა, მულტიკულტურიზმის პრობლემების კვლევა.

წინამდებარე მონოგრაფიული კვლევა ეძღვნება საერთაშორისო ბიზნესში კროსკულ-ტურული ურთიერთობების საკითხების შესწავლას. ის ჯეროვან დახმარებას გაუწევს ამ სფეროს მკვლევრებს, მეცნიერებს, სტუდენტებს და ყველა იმ პირს, რომლებიც დაინტერესებული არიან საერთაშორისო ბიზნესის კროსკულტურული ურთიერთობების პრობლემატიკით.

2. საქართველოსა და იაპონიას შორის ურთიერთობები ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში დინამიკურად ვითარდება. მხარეები აქტიურად თანამშრომლობენ პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ, საინვესტიციო, ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, კულტურის, საგანმანათლებლო, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ტურიზმის სფეროებში. რეგულარულად ტარდება მაღალი დონის ვიზიტები, ბიზნესფორუმები და კულტურული ღონისძიებები. იაპონურ-ქართული თანამშრომლობა კიდევ ერთხელ გაძლიერდა COVID-19-ის პანდემიის დროს, რომელმაც საქართველოსაც და მთელ

მსოფლიოსაც უზარმაზარი სირთულეები მოუტანა, თუმცა ხელი არ შეუშლია იაპონიისთვის დახმარებოდა საქართველოს.

3. წინამდებარე კვლევის მიზანი კი პანდექსიტის ძირითადი ეკონომიკური გამოწვევების განსაზღვრაა, რაც როგორც ცალკეულ ადამიანს, ისე მთავრობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს პოსტპანდემიური პერიოდის პრობლემებში უკეთ გარკვევას შეუწყობს ხელს.

6.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით _____ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI
(არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **Abesadze R.** The main directions the innovation strategy of theGorgia ekonomy. "Ekonomisti". Tbilisi, 2022 №2
2. **პაპავა ვ.** "On Sanctionomics and the Externalities of Economic Sanctions", საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე", ტომი 16, № 2, გვ. 142-149.
3. **Бурдули В.** Перспективы инновационного развития секторов экономики Грузии в ближайшее десятилетие. – Ekonomisti, 2022, №1, Volume XVIII.
Doi: 10.36172/EKONOMISTI.2021.XVIII.01.Vakhtang.Burduli Стр. 8-32.
4. **ლაზარაშვილი თ., ჩიქობავა მ, კაკულია ნ.** თანამედროვე მონეტარული თეორიის შესახებ. ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი, #3,2022, ტომი XIV, თბილისი, თსუ , გვ. 9-35. Doi. 10.56079.
5. **ლაზარაშვილი თ., ჩიქობავა მ., კაკულია ნ.,** წამყვანი ქვეყნების ცენტრალური ბანკების ანტიინფლაციური პოლიტიკა და გლობალური რეცესიის საფრთხე. ჟ. ეკონომისტი, №4, 2022. DOI : 10.36172/EKONOMISTI.2022.XVIII.04.Chikobava.Kakulia.Lazarashvili

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. გამოკვლეულია საქართველოში ეკონომიკის ინოვაციური განვითარების მიმართულებით არსებული დადებითი და უარყოფითი მხარეები და განსაზღვრულია საქართველოს ეკონომიკის ინოვაციური განვითარების სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები. საქართველოში არც ერთი წინა მთავრობა არ ახორციელებდა ქმედით ღონისძიებებს ეკონომიკის ინოვაციური განვითარების მიმართულებით. ამიტომაა, რომ ინოვაციების სამართლებრივი ბაზის ფორმირება და ინოვაციური სისტემის განვითარება ძირითადად 2013 წლიდან იწყება. გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები როგორც შესაბამისი ინსტიტუციური, ბაზის ისე ინოვაციური სისტემის ფორმირების მიმართულებით.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა პრობლემები დღესაც რჩება, უპირველეს ყოვლისა, ინოვაციურმა განვითარებამ ვერ მიიღო კომპლექსური და უწყვეტი ხასიათი. ასევე, თითქმის არ არსებობს საკუთარ ქცევებზე დაფუძნებული ინოვაციური სისტემა, ცუდ მდგომარეობაშია ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალი, რაც ინოვაციური განვითარების საფუძველთა საფუძველია, სუსტია კავშირი სახელმწიფოს, ბიზნესსა და მეცნიერებას შორის და სხვ.

აუცილებელია შემუშავდეს ქვეყნის ინოვაციური განვითარების სტრატეგია და შესაბამისი პროგრამები. ინოვაციური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები უნდა გახდეს:

საქართველოს ინოვაციური სისტემის სრულყოფა მოიცავს: ინოვაციური სისტემის ხუთრგოლიანი მოდელის ჩამოყალიბებას; სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერებას; განათლების სისტემის სრულყოფას; ინოვაციების იმპორტის გაძლიერებას; საკუთარ კვლევებზე დაფუძნებული ინოვაციური სისტემის ფორმირებას; ინოვაციური სისტემის ინფრასტრუქტურის სრულყოფას; საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარების დაჩქარებას; დონორების მიერ პროექტების განხორციელების შემდგომი მხარდაჭერის მექანიზმების შექმნას

2. სტატიაში შესწავლილია იმ ეფექტებთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც წარმოიქმნა რუსეთის წინააღმედგ დაწესებული ეკონომიკური სანქციების შედეგად, და რომლებიც, თავის მხრივ, შემოღებულ იქნა რუსეთ-უკრაინის ფართომასშტაბიანი ომის დაწყების გამო. აშკარაა, რომ ამ ეკონომიკური სანქციების მასშტაბურობა აქტუალურს ხდის მათი ზეგავლენის საკითხის შესწავლას, როგორც იმ ქვეყნის (ანუ, რუსეთის) მიმართ, რომელიც დაექვემდებარა სანქციებს, ისე იმ ქვეყნების მიმართ, რომლებმაც შემოიღეს ეს სანქციები, ასევე იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც სრულად ან ნაწილობრივ არ შეუერთდნენ სანქციებს. ეკონომიკური მეცნიერების იმ სფეროს, რომელიც შეისწავლის ამ საკითხს შემოთავაზებულია ეწოდოს სანქციონომიკა. განსაკუთრებული ყურადღება დათმობილი აქვს ეკონომიკური სანქციების ექსტერნალიების შესწავლას, რომლებიც თავისი ბუნებით არიან ეგზოგენურები, განსხვავებით საბაზრო ექსტერნალიებისა, რომლებიც კვალიფიცირდება როგორც ენდოგენური. განხილულია უარყოფითი და დადებითი ეკონომიკური სანქციები და აღნიშნულია, რომ პირველები უკანასკნელთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანია.

3. ნაშრომში განხილულია ფაქტორები, რომლებიც აფერხებენ ინოვაციების განხორციელებას ეკონომიკის სექტორებში და მათი დაძლევის ზოგიერთ გზა, ასევე უახლოეს პერიოდში იმ ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივები, რომელიც საჭიროა ინოვაციების რეალიზაციისათვის ეკონომიკის სექტორებსა და ქვესექტორებში. მოკლედ განხილულია ეკონომიკის სექტორებსა და ქვესექტორებს შორის ინოვაციების გავრცელებისა და დანერგვის ურთიერთკავშირის პრობლემები. შემდეგ შემოთავაზებულია და დასაბუთებული ინოვაციების (უპირატესად საბაზისო, როგორც საპროცესო, ასევე საპროდუქტოების) რეალიზაციის სტრატეგია ენერგეტიკის სექტორში და მრეწველობის რიგ ქვესექტორში (ელექტროტექნიკური მრეწველობა, კომპოზიტური მასალების და მათგან ნაკეთობების წარმოება, მეტალურგიული მრეწველობა, ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა, მსუბუქი მრეწველობა).

4. სამეცნიერო პუბლიკაციებში მონეტარული ურთიერთობების პრობლემებზე, თანამედროვე მონეტარული თეორია განმარტებულია, როგორც შეხედულებათა სისტემა, რაც ჩამოყალიბებულია ბოლო ოცი წლის განმავლობაში ამერიკელი და ავსტრალიელი ეკონომისტების ჯგუფის, ძირითადად, უნივერსიტეტის პროფესორების მიერ. თანამედროვე მონეტარული თეორიის განვითარებისა და პოპულარიზაციის მთავარ სტიმულად იქცა ამერიკული ეკონომიკის ისეთი პრობლემების დაძლევის მეცნიერული კონცეფციის შექმნის აუცილებლობა, როგორიცაა უზარმაზარი სახელმწიფო ვალის დაგროვება, ქრონიკული ბიუჯეტის დეფიციტი და უმუშევრობის მაღალი დონე. აღნიშნული თეორია გვთავაზობს ამ პრობლემების უნივერსალურ გადაწყვეტას.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მონეტარული თეორია შეიცავს პარადოქსულ დასკვნებსაც, მისი შესწავლა აუცილებელია. საქმე ისაა, რომ თანამედროვე მონეტარული თეორიის შემუშავებისას ფართოდ გამოიყენებოდა ანალიზის საბალანსო და ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები. სწორედ მათი გამოყენების შედეგების თავისებურმა ინტერპრეტაციამ მიიყვანა თანამედროვე მონეტარული თეორიის ავტორები არაორდინარულ დასკვნებამდე.

მოცემულ სტატიაში წარმოდგენილია თანამედროვე მონეტარული თეორიის შედარებითი ანალიზი ჩარტალიზმთან, მარქსისტულ თეორიასა და კეინზიანურ მიმდინარეობასთან. ნაჩვენებია, თუ რამდენად ძალუძს აღნიშნულ თეორიას თანამედროვე გლობალურ ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისთან გამკლავება; სტატიაში გაანალიზებულია ასევე თანამედროვე მონეტარული თეორიის ძლიერი და სუსტი მხარეები.

5. ჯერ კიდევ 2021 წლის შემოდგომის დასაწყისში ანალიტიკოსებისა და ექსპერტების უმრავლესობა დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ მომდევნო 2022 წელი უკეთესი იქნებოდა

წინამორბედზე. მაგრამ, 2021 წლის ბოლო კვარტალში მრავალთათვის მოულოდნელად საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა კორექტივები შეიტანეს 2022 წლის მსოფლიო GDP-ის ზრდის შეფასებაში შემცირების მიმართულებით. საქმე ისაა, რომ მრავალთათვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულ იქნა 2021 წლის ნოემბერსა და დეკემბერში. 2021 წლის 3 ნოემბერს ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ გამოაქვეყნა გადაწყვეტილება „რაოდენობრივი შერბილების“ პროგრამის შეწყვეტის შესახებ, ხოლო 15 დეკემბერს გამოქვეყნდა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ „რაოდენობრივი შერბილების“ პროგრამის შემცირების სისწრაფე გაორმაგდებოდა. ფინანსური ბაზრების მონაწილეებისა და ბიზნესისათვის მოცემული გადაწყვეტილება ძალზე სერიოზული სიგნალი აღმოჩნდა გლობალური ეკონომიკური რეცესიის მორიგი სერიოზული ტალღის მიმართ მოლოდინების გასაჩენად.

მიმდინარე წლის მარტში საბაზისო განაკვეთის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ჯერომი პაუელმა განაცხადა, რომ აშშ-ის ცენტრალური ბანკი ყველაფერს გააკეთებდა წლიური ინფლაციის 2%-მდე დასაყვანად. მისი სიტყვებით, აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა არ განიხილავდა საბაზისო განაკვეთის 75 საბაზისო პუნქტით ზრდას. თუმცა ყველაფერი პირიქით მოხდა: ფედრეზერვმა ფედერალური ფონდების განაკვეთი 75 საბაზისო პუნქტით ზედიზედ ოთხჯერ გაზარდა და ჯერჯერობით, წლიურ ინფლაციასაც, რომლის მაჩვენებელი 8%-ს აღემატება, ვერაფერი მოუხერხა, რომ არაფერი ვთქვათ მის 2-3%-მდე შემცირებაზე.

ანალიტიკოსებს უჩნდებათ კითხვები: რამდენად ძლიერია ამერიკის ეკონომიკის ორგანიზმი, შეძლებს თუ არა ის გაუძლოს ინფლაციის საწინააღმდეგო წამალს, რომელსაც ეწოდება „მონეტარული გამკაცრება“? უმრავლესობის ვარაუდით, მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას ძალიან მაღალი ალბათობით მოჰყვება გლობალური რეცესიის პროვოცირება.

6.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; **ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN**-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **აბესაძე რ. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების ძირითადი თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემები.** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტ. XV, 2022. ISSN 1987-6904;
2. **აბესაძე რ., ბიბილაშვილი ნ., კურატაშვილი ქ. საქართველოს სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების თეორეულ-მეთოდოლოგიური საკითხები.** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტ. XV, 2022. ISSN 1987-6904 (ResearchGate);
3. **პაპავა ვლადიმერ. „სანქციონომიკა და მსოფლიო ეკონომიკის არქიტექტურის ცვლილების ძირითადი მიმართულებები კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში“.** No. II, გვ. 3-21, ISSN 2720-8249;
4. **ხუსკივაძე მამუკა, თოთლაძე ლია. ადამიანისეული კაპიტალის გაზომვის კონცეპტუალური ასპექტები.** რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2022, #3. ISSN 1987-5789 ESSN 2587-5426;
5. **პაპავა ვლადიმერ. დეგლობალიზაციის პრობლემა და განახლებული გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევები.** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტ. XV, 2022. ISSN 1987-6904;

6. **ბურდული ვახტანგ . გლობალური ეკონომიკური საფრთხეები და მისი გავლენა ეროვნულ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე.** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტ. XV, 2022. ISSN 1987-6904;

7. **ბერულავა გიორგი, ცუცქირიძე მარინე. ეკონომიკური უსაფრთხოებისა და ეკონომიკური მდგრადობის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები: საერთაშორისო გამოცდილება.** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტ. XV, 2022. ISSN 1987-6904;

8. **კვარაცხელია მურმან. გლობალიზაცია და მისი ეროვნულ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული პრობლემები.** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტ. XV, 2022. ISSN 1987-6904;

9. **ლაზარაშვილი თეა. გლობალური სოციალური საფრთხეები და მისი ეროვნულ სოციალურ უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები.** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტ. XV, 2022. ISSN 1987-6904;

10. **ხუსკივაძე მამუკა . ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ევროკავშირის გამოცდილების განზოგადება.** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტ. XV, 2022. ISSN 1987-6904;

11. **ჯავახიშვილი რევაზ. ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის - აშშ-ს /ეკონომიკური და ეკოლოგიური/, იაპონიის /ეკონომიკური და სოციალური/ უსაფრთხოების სფეროში გამოცდილების განზოგადება.** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტ. XV, 2022. ISSN 1987-6904;

12. **დათუნაშვილი ლინა. გლობალური სასურსათო საფრთხეები და მათი ეროვნულ სასურ-სათო უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები.** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტ. XV, 2022. ISSN 1987-6904;

13. **თოთლაძე ლია, თაფლაძე თამუნა.** ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსა-ფრთხოება ბენელუქსის ქვეყნებში. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტ. XV, 2022. ISSN 1987-6904;

14. **ბერიშვილი ხათუნა.** ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ზოგიერთი პოსტკომუნისტური ქვეყნის (რუსეთი, უკრაინა) გამოცდილება. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტ. XV, 2022. ISSN 1987-6904;

15. **ბრეგვაძე გიორგი.** გლობალური ეკონომიკური და ეკოლოგიური საფრთხეები და მათი მშენებლობის ეროვნული სექტორის უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტ. XV, 2022. ISSN 1987-6904;

16. **გოგოხია თემურ.** ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგიური ასპექტები. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტ. XV, 2022. ISSN 1987-6904

17. **დავლაშერიძე ნატა.** ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ევროკავშირში შემავალი ქვეყნების გამოცდილება. თსუ პაატა გუგუშვილის

სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტ. XV, 2022. ISSN 1987-6904;
18. კაკულია ეთერ . საწარმოების ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიულ-მეთოდოლოლო-გიური საკითხები. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტ. XV, 2022. ISSN 1987-6904;
19. ქავთარაძე თენგიზ. გლობალური ეკონომიკური და ეკოლოგიური საფრთხეები და მათი ეროვნული სოფლის მეურნეობის უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები.თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტ. XV, 2022. ISSN 1987-6904;
20. ქისტაური ნუნუ. ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნის (ჩინეთი, თურქეთი) გამოცდილება. თსუ პაატა გუ-გუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტ. XV, 2022. ISSN 1987-6904;
21. ქველაძე ქეთევან. გლობალური ეკოლოგოური საფრთხეები და მათი გავლენა ეროვნული ტურიზმის უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტ. XV, 2022. ISSN 1987-6904;
22. წერეთელი ზურაბ. გლობალური ეკონომიკური საფრთხეები და მისი ეროვნული საწარმოს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები. თსუ პაატა გუ-გუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტ. XV, 2022. ISSN 1987-6904;
23. ჟორჟიკაშვილი ნინო. გლობალური ეკონომიკური საფრთხეები ჯანდაცვის სფეროში და მათი ეროვნული ჯანდაცვის უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტ. XV, 2022. ISSN 1987-6904;
24. დვალიშვილი ლია. გლობალური ეკოლოგიური საფრთხეები და მისი ეროვნულ ეკო-ლოგიურ უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტ. XV, 2022. ISSN 1987-6904;
25. თეთრაული ციცინო. სოციალური უსაფრთხოების გამოცდილება ევროკავშირში. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტ. XV, 2022. ISSN 1987-6904;
26. მელაშვილი მედეა . სოციალური უსაფრთხოების გამოცდილება ამერიკის შეერთებულ შტატებში. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტ. XV, 2022. ISSN 1987-6904;
27. ნოზაძე ზურაბ. ეკოლოგიური უსაფრთხოების გამოცდილება იაპონიაში. თსუ პაატა გუ-გუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტ. XV, 2022. ISSN 1987-6904.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ეკონომიკური უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია. მისი უზრუნველყოფა ხელს უწყობს მომავალში ქვეყნის მდგრად განვითარებას, ძირეულ თვისებრივ ცვლილებებს ეკონომიკის ყველა დარგში საბოლოო ანგარიშით,

მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას. ნაშრომში გამოკვლეულია საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების ძირითადი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები.

ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების ძირითადი თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემების გასარკვევად, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს ეკონომიკური უსაფრთხოების არსი, შემდეგ გამოკვლეული იქნეს ქვეყნის ეკონომიკაში არსებული მდგომარეობა, განისაზღვროს გლობალური და ეროვნული ეკონომიკური და არაეკონომიკური საფრთხეები, ჩამოყალიბდეს ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებელთა სისტემა და დადგინდეს მათი ზღვრული სიდიდეები, შემუშავდეს ეკონომიკური უსაფრთხოების შემადგენელ ნაწილთა (ჩვენ შემთხვევაში რეგიონული, საფინანსო, ენერგრტიკული, სასურსათო და ორგანიზაციის) უსაფრთხოების მექანიზმები. საბოლოოდ, უნდა შემუშავდეს ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის მოდელი მოცემული ქვეყნისათვის, რომელშიდაც აისახება აქ მოყვანილი სამუშაოების შედეგები და ამ შედეგებზე დაფუძნებული ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ღონისძიებათა სისტემა.

ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოება დიდადაა დამოკიდებული მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე პროცესებზე, ამდენად უდიდესი მნიშვნელობა აქვს **გლობალურ უსაფრთხოებას**, რომელიც გულისხმობს უსაფრთხოების უზრუნველყოფას დედამიწაზე ცხოვრების პირობების გაუარესებისა და, საერთოდ, კაცობრიობის განადგურებისაგან. გლობალური უსაფრთხოების პრობლემები ეხება ყველა სახელმწიფოსა და თითოეულ ადამიანს. ეკონომიკური ხასიათის გლობალური საფრთხეებიდან აღსანიშნავია: **ეკონომიკური კრიზისები; ენერგეტიკული პრობლემა; სიღარიბის პრობლემა; სასურსათო პრობლემა; რესურსების ამოწურვის პრობლემა და სხვ. არაეკონომიკური ხასიათის გლობალური საფრთხეებიდან კი აღსანიშნავია: მშვიდობის დაცვა; განიარაღება და შეიარაღებაზე კონტროლის დაწესება; განვითარებადი ქვეყნების პრობლემები; დემოგრაფიული პრობლემები; ატმოსფეროს, წყლისა და ნიადაგის დაბინძურება; კლიმატის ცვლილება; კოსმოსის ათვისება; საერთაშორისო ტერორიზმი; ნარკობიზნესი; ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები; ადამიანის უფლებათა და თავისუფლების დაცვა; კულტურულ მრავალფეროვნებათა შენარჩუნება; კიბერუსაფრთხოება და სხვ.**

ეკონომიკური უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილებია: ფინანსური უსაფრთხოება, ენერგეტიკული უსაფრთხოება; სასურსათო უსაფრთხოება, ასევე მისი ცალკეული სფეროსა თუ დარგის უსაფრთხოება, როგორიცაა მრეწველობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ტურიზმი, ტრანზიტი, მცირე ბიზნესი და სხვ.

ეკონომიკური უსაფრთხოების შესწავლის დროს გამოკვლეული უნდა იყოს ეკონომიკაში არსებული მდგომარეობა, კერძოდ: მაკროეკონომიკური, მიკროეკონომიკური, სექტორული და რეგიონული პრობლემები, ასევე ინოვაციური, ციფრული, ცოდნის, მწვანე და წრიული ეკონომიკის განვითარების დონე, რაზე დაყრდნობითაც განისაზღვრება ქვეყნის ძრითადი ეკონომიკური საფრთხეები, რომელთაგან შეიძლება დავასახელოთ: სიღარიბე; უმუშევრობა; ინფლაცია; შიგა და უცხოური ინვესტიციების შემცირება; საგარეო ვალის დიდი მოცულობა; სავალუტო კურსის ცვლილება; კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე; ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა; ინოვაციური, ცოდნის, „მწვანე“ და „წრიული“ ეკონომოკის, მრეწველობის, მცირე ბიზნესის, სოფლის მეურნეობის განვითარების დაბალი დონე; ინოვაციებში ინვესტიციების სიმცირე; უარყოფითი საგადამხდელო ბალანსი და ბალანსის არაპროგრესული სტრუქტურა; ჩრდილოვანი ეკონომიკის დიდი მოცულობა და სხვ.

ეკონომიკის არაეკონომიკური საფრთხეებიდან შეიძლება გამოიყოს: კრიმინოგენური დაძაბულობა; პოლიტიკური დაძაბულობა; სტიქიური მოვლენები; დემოგრაფიული დაძაბულობა; ნარკომანია; საერთაშორისო ტერორიზმი და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული; კიბერუსაფრთხოება, პანდემია და სხვა.

შემდეგ უნდა დადგინდეს ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლები და მათი ზღვრული სიდიდეები. ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლებიდან აღსანიშნავია: მშპ-ს მოცულობა; რეალური მშპ-ს მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე; საგარეო ვალის მოცულობა და მისი თანაფარდობა მშპ-თან; ბიუჯეტის დეფიციტის მოცულობა და მისი თანაფარდობა მშპ-თან; შიგა ვალის მოცულობა და მისი თანაფარდობა მშპ-თან; საგარეო და საშინაო ვალის მოცულობა და მისი თანაფარდობა მშპ-სა და ბიუჯეტის სიდიდესთან; დანახარჯების მოცულობა მეცნიერებაზე და მისი თანაფარდობა მშპ-თან; დანახარჯების მოცულობა განათლებაზე და მისი თანაფარდობა მშპ-თან; დანახარჯების მოცულობა ჯანდაცვაზე და მისი თანაფარდობა მშპ-თან; ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობა; კაპიტალის გადინების მოცულობა და მისი თანაფარდობა მშპ-თან; ძირითად კაპიტალზე ინვესტიციების მოცულობა და მისი თანაფარდობა მშპ-თან; ძირითადი კაპიტალის ცვეთის სიდიდე; დანახარჯების მოცულობა ტექნოლოგიურ ინოვაციებზე და მისი თანაფარდობა მშპ-სთან; ინვესტიციების მოცულობა ძირითად კაპიტალზე და მისი თანაფარდობა მშპ-თან; ეკონომიკის მონეტიზაციის დონე; სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წილი მშპ-ში; მცირე ბიზნესის ხვედრითი წილი მშპ-ში; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხვედრითი წილი მშპ-ში.

ამ მაჩვენებელთა ზღვრული სიდიდეები უნდა დადგინდეს საზღვარგარეთის ქვეყნების ანალოგიის, ქვეყანაში არსებული მდგომარეობისა და ექსპერტული შეფასებების საფუძველზე.

ენერგეტიკული უსაფრთხოების სტრატეგიის შესამუშავებლად, უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს ენერგეტიკულ სექტორში არსებული მდგომარეობა შემდეგი მახასიათებლების მიხედვით: ქვეყნის ენერგეტიკული ბალანსის სტრუქტურა; ქვეყნის ენერგიით თვითუზრუნველყოფის დონე; ენერგიის იმპორტის დივერსიფიკაციის ხარისხი; საერთაშორისო სატრანზიტო შესაძლებლობების გამოყენების ხარისხი; ენერგეტიკულ სისტემებში ჩართულობა; განახლებადი ენერგორესურსების ათვისების დონე; ენერგოობიექტების ამორტიზაციის მდგომარეობა; ენერგოეფექტიანობა (პროდუქციის ენერგო- და ელექტროტევადობა); ფასები ენერგიაზე; ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკა და სხვ.

ასევე უნდა მოხდეს ენერგეტიკული საფრთხეების განსაზღვრა, მთ შორის: გლობალური ენერგეტიკული საფრთხეები; ენგურჰესზე (რომელიც საქართველოს ჰიდროგენერაციის თითქმის ნახევარს გამოიმუშავებს) კონტროლის არარსებობა და ამ სადგურზე გამომუშავებული ელექტროენერგიის უკონტროლო მოხმარება აფხაზეთში; ელექტროენერგიისა და გაზის იმპორტზე მზარდი დამოკიდებულება; ბუნებრივი მოვლენების ან დივერსიული და სამხედრო ქმედებების შედეგად, ინფრასტრუქტურის ფიზიკური დაზიანება; კიბერშეტევები ინფრასტრუქტურაზე და მათი მუშაობის რეჟიმზე; ადგილობრივი რესურსების აუთვისებლობა; საერთაშორისო ენერგეტიკული თანამშრომლობისა და სატრანზიტო შესაძლებლობების გამოუყენებლობა; ენერგიაზე ფასების ზრდა; ენერგოეფექტიანობის დაბალი დონე (პროდუქციის ენერგო- და ელექტროტევადობის მაღალი სიდიდე); მოძველებული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის არსებობა; დანაკარგების დიდი ხვედრითი წილი ელექტროგადამცემ ქსელებში; გაზის საკუთარი ენერგოსაცავების უქონლობა და სხვ.

აუცილებელია განისაზღვროს ენერგეტიკული უსაფრთხოების მაჩვენებლები და დადგინდეს მათი ზღვრული სიდიდეები. ეს მაჩვენებლები შეიძლება იყოს: ელექტროენერგიის წარმოების მოცულობა; ენერგორესურსებისა და ელექტროენერგიის იმპორტის მოცულობა; ენერგეტიკული სიმძლავრეებისსიდიდე; დანაკარგების სიდიდე ელექტროქსელში; პროდუქციის ენერგო- და ელექტროტევადობა; ქვეყნის ენერგორესურსების ათვისების დონე; ფასები ენერგიაზე; ფიზიკური და მორალური ცვეთა ენერგოსისტემაში; გარე და შიგა ინვესტიციების მოცულობა ენერგოსექტორში და სხვ.

ფინანსური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების დროს, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს ფინანსურ სექტორში არსებული მდგომარეობა ისეთ სფეროებში როგორიცაა:

საბანკო სექტორი; სახელმწიფო ბიუჯეტი; საფონდო ბაზარი; საპენსიო ფონდი; საგადასახადო სისტემა;

ფინანსური საფრთხეებიდან აღსანიშნავია: სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი; საერთაშორისო რეზერვების სიმცირე; ფულადი მასის არაოპტიმალური სიდიდე; რეფინანსირების განაკვეთის არაოპტიმალური სიდიდე; მაღალი საპროცენტო განაკვეთი; მოსახლეობის მცირე შემოსავლები; დოლარიზაციის მაღალი დონე; საგარეო ვალების დიდი მოცულობა; უცხოური სესხების არაეფექტიანი გამოყენება; საკრედიტო თანხების არაწარმოებრივი მიზნებით გამოყენება; ჩრდილოვანი ეკონომიკის მაღალი დონე; საბიუჯეტო დეფიციტის დიდი მოცულობა; ვალუტის კურსის სწრაფი ცვლილება; არასწორი მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა; უარყოფითი სავაჭრო სალდო; ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპები; საფონდო ბაზრის განუვითარებლობა; ფულის გათეთრება; საკრედიტო რისკები; ლიკვიდობის რისკი; საგარეო ვალი; მცირე საერთაშორისო რეზერვები; თანამედროვე ტექნოლოგიების და საერთაშორისო სტანდარტების უქონლობა ფინანსურ სექტორში; არაოპტიმალური სარეზერვო ნორმა და სხვ.

ფინანსური უსაფრთხოების მაჩვენებლებიდან შეიძლება გამოიყოს: ბიუჯეტის დეფიციტის ხვედრითი წილი; საგარეო ვალის თანაფარდობა მშპ-თან; საერთაშორისო რეზერვების მოცულობა; საპროცენტო განაკვეთი; სავალუტო კურსი; სავაჭრო სალდო; ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობა; ფასიანი ქაღალდების ბაზრის მოცულობა და სხვ.

რეგიონული ეკონომიკური უსაფრთხოებასთან მიმართებით შესწავლილი უნდა იქნეს სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკა და რეგიონებში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა, მათ შორის: რეგიონის ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერების გათვალისწინებით; ქვეყნის ყველა რეგიონში ცხოვრების თანაბარი პირობების უზრუნველყოფა; რეგიონებში, მათი თავისებურებების გათვალისწინებით, სოციალურად ორიორენტირებული ეკონომიკის ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა; რეგიონებში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებისათვის ხელშეწყობა; ქვეყნის შიგნით მიგრაციის პროცესების დარეგულირება; რეგიონებში უმუშევრობისა და სიღარიბის შემცირებისათვის ხელშეწყობა; სახელმწიფო ბიუჯეტისა და სხვა წყაროების გამოყენება ფინანსური რესურსების გადასანაწილებლად რეგიონებს შორის; დახმარების გაწევა რეგიონებისათვის უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად; რეგიონების განვითარების ხელშემწყობი ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; რეგიონული განვითარების შემუშავება და განხორციელება, განსაკუთრებით სოფლის ეკონომიკის მიმართულებით; მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა; რეგიონების ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური პარამეტრები.

რეგიონის ეკონომიკური საფრთხეებიდან აღსანიშნავია: რეგიონის ბუნებრივი რესურსების აუთვისებლობა; რეგიონის ეკონომიკური დამოუკიდებლობის დაბალი დონე; რეგიონის ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონე (გზები, შიგა გზები სოფლად და სხვ.); საყოფაცხოვრებო პირობების დაბალი დონე; კრიმინოგენური სიტუაციის გაუარესება; მცირე ბიზნესის განვითარების დაბალი დონე და მის სახელმწიფო მხარდაჭერის არ არსებობა; უმუშევრობისა და სიღარიბის მაღალი დონე; ეკონომიკის არაინოვაციური ზრდა; შიგა მოხმარებაში იმპორტის დიდი მოცულობა; კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე; ცუდი ეკოლოგიური მდგომარეობა და სხვ.

შემდეგ უნდა განისაზღვროს რეგიონის ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლები და დადგინდეს მათი ზღვრული სიდიდეები. მაჩვენებლებიდან შეიძლება გამოიყოს: მრპ (მთლიანი რეგიონული პროდუქტი); ინვესტიციების მოცულობის ფარდობა მრპ-თან; შიგა მოხმარებაში იმპორტის მოცულობა; დანაზოგებისა და ინვესტიციების თანაფარდობა; უცხოური ინვესტიციების მოცულობა; დანახარჯები სამეცნიერო-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე; დანახარჯები ფუნდამენტურ კვლევებზე; მრპ მოსახლეობის ერთ სულზე; ელექტროენერგიის, ბუნებრივი

აირის მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე; ეკოლოგიური პარამეტრების სიდიდეები და სხვ.

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის დროს გამოკვლეული უნდა იყოს სურსათით თვითუზრუნველყოფის ბაზის განვითარების დონე. შეიძლება გამოიყოს სოფლის ეკონომიკის შემდეგი სფეროები: სოფლის მეურნეობა მასში შემავალი დარგებისა (მეცხოველეობა, მემცენარეობა) და ქვედარგების (მიწათმოქმედება, მეფრინველეობა, და სხვ.) მიხედვით; მეთევზეობა; ტყის სასურსათო პოტენციალი; მოსახლეობის სურსათზე ფიზიკური მისაწვდომობის დონე; მოსახლეობის სურსათზე ეკონომიკური მისაწვდომობის დონე; სურსათის ექსპორტისა და იმპორტის მოცულობა, სურსათის იმპორტის ჩანაცვლება ადგილობრივი წარმოებით; სახელმწიფო ბიუჯეტში სასოფლო-სამეურნეო ასიგნებები; მცირე და საშუალო ფერმერებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების კაპიტალური ინვესტირების მიზნობრივი საგრანტო პროგრამების ყოველწლიური დაფინანსება; სასურსათო უსაფრთხოების ინსტიტუციური უზრუნველყოფა; სურსათის სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში მცირე და საშუალო მეწარმეებისა და ფერმერების ჩართვის წახალისება; გასტრონომიული და აგროტურიზმის ხელშეწყობა; სარწყავი სისტემების მშენებლობა და რეაბილიტაცია, მელიორაციული ღონისძიებების გატარება; სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალი ჯიშების გამოყვანა და გაშენება მწარმოებლურობისა და ინოვაციების დანერგვის გზით; სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის სისტემა; სურსათის სახელმწიფო შესყიდვების სისტემა; სოციალური და პოლიტიკური არასტაბილურობა; სასურსათო უსაფრთხოების ინსტიტუციური უზრუნველყოფა (სასურსათო უსაფრთხოების დოქტრინა, სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგია საქართველოს კანონი სასურსათო უსაფრთხოების შესახებ) და სხვ.

სასურსათო საფრთხეებიდან შეიძლება გამოიყოს: მაკროეკონომიკური რისკები (ცუდი საინვესტიციო გარემო, ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპები, განუვითარებელი ინსტიტუციები, სახელმწიფო რეგულირების არაეფექტიანი მექანიზმი და სხვ); ნათესი ფართობების შემცირება; ნიადაგის ეროზია; ეროვნული ვალუტის გაუფასურება; აგფლაცია; ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა; კლიმატის ცვლილებები და სტიქიური მოვლენები (სეტყვა, წყალდიდობა, გვალვა, მცენარეთა ან ცხოველთა დაავადებები, მიწისძვრები და სხვა საგანგებო სიტუაციები); საგარეო საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებები (სურსათზე ფასების ზრდა, ენერგიის გაძვირება, და სხვ.); მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის დაბალი დონე; ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებების შემცველობის პროდუქტების რეალიზაცია და სხვ.

საბოლოოდ უნდა განისაზღვროს სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებლები და დადგინდეს მათი ზღვრული მნიშვნელობები. ეს მაჩვენებლები შეიძლება იყოს: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობა პროდუქციის ცალკეულ სახეობათა მიხედვით; სურსათის იმპორტის მოცულობა; სურსათის ექსპორტის მოცულობა; კვების დადგენილი ფიზიოლოგიური ნორმები და ასორტიმენტი; მოსახლეობის ეკონომიკური წვდომის უნარი საჭირო სურსათთან; სასურსათო კალათის შემადგენლობა; ინვესტიციების მოცულობა სოფლის მეურნეობაში; მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის დონე; აგფლაციის სიდიდე; ნიადაგის ეროზიის დონე და სხვ.

2. ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია **სოციალური და ეკოლოგიური უსაფთხოება,** რომლის საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური უსაფრთხოება. სოციალური და ეკოლოგიური უსაფთხოების სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის დაცვა სოციალური და ეკოლოგიური საფრთხეებისაგან, ნაშრომში გადმოცემულია აღნიშნული სტრატეგიის შემუშავების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები.

სოციალური უსაფრთხოება გულისხმობს საზოგადოების მდგრად განვითარებას, მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლებას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ამას უზრუნველყოფს როგორც ბიზნესი, ისე სახელმწიფო, სოციალურად ორიენტირებული

საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და სახელმწიფოს მიერ აქტიური და ეფექტიანი სოციალური პოლიტიკის გატარების შედეგად.

ეკოლოგიური უსაფრთხოება გულისხმობს როგორც გლობალური, ისე ლოკალური ეკოლოგიური საფრთხეების თავიდან აცილებას ეკონომიკური საქმიანობის დროს, ასევე ბუნების სტიქიური მოვლენების მიერ გამოწვეული ზიანის აღმოფხვრას.

აღნიშული სტრატეგიის შენუშავების დროს: გამოკვლეული უნდა იყოს ორივე ამ სფეროში არსებული მდგომარეობა; განისაზღვროს მოსალოდნელი საფრთხეები: ჩამოყალიბდეს სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების მაჩვენებლები და დადგინდეს მათი ზღვრული სიდიდეები; შემუშავდეს სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების სტრატეგიის ღონისძიებათა სისტემა.

სოციალურ სფეროში არსებული მდგომარეობის შესწავლის დროს შეიძლება გამოიყოს შემდეგი საკითხები: სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა; ცხოვრების დონე; სიღარიბე; უმუშევრობა; საშუალო ფენის ფორმირების არსებული მდგომარეობა; სამედიცინო მომსახურების ხარისხი და ხელმისაწვდომობა; პენსიების სიდიდე; დახმარებების სიდიდე; პანდემია და პანდემიის პრევენციისა და მართვის ეფექტიანობა; განათლებისა და ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობა; ფასები და სხვ.

სოციალური საფრთხეებიდან აღსანიშნავია: სახელმწიფოს არასწორი ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა; ბუნებრივი რესურსების სიმწირე; შემოსავლების სიმცირე; კვების ხარისხის შემცირება და ამის გამო სხვადასხვა სახის დაავადებათა წარმოშობა; სამედიცინო მომსახურების და ხელმისაწვდომლობის დაბალი დონე; განათლების დაბალი ხარისხი და ხელმისაწვდომობის დაბალი დონე; სურსათზე ხელმისაწვდომლობის დაბალი დონე; საცხოვრებელი პირობების გაუარესება; ეპიდემიისა და პანდემიის შედეგად წარმოშობილი პრობლემები; კრიმინოგენური სიტუაციის გაუარესება; ფასების ზრდა მსოფლიო ბაზარზე (ენერგიაზე, სურსათზე, საყოფაცხოვრებო საგნებზე); ეროვნული ვალუტის დევალვაცია და სხვ.

სოციალური უსაფრთხოების მაჩვენებლებიდან შეიძლება გამოიყოს: საშუალო რეალური ხელფასი; სიღარიბის დონე; უმუშევრობის დონე; სოციალური დახმარებების სიდიდე; ფასები ენერგიაზე, სურსათზე, საყოფაცხოვრებო საგნებზე და წამლებზე; მოხუცებულობის პენსიის სიდიდე; საარსებო მინიმუმი; დემოგრაფიული მონაცემები; ჯინის კოეფიციენტი და სხვ. მაჩვენებელთა ზღვრული მნიშვნელობები უნდა დადგინდეს ანალოგიებისა და ექსპერტული შეფასებების შედეგად.

სოციალური უსაფრთხოების ღონისძიებათა სისტემიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი ღონისძიებები: სიღარიბისა და უმუშევრობის დონის შემცირება; ფასების სტაბილურობა; სავალუტო კურსის სტაბილურობა; შემოსავლების ზრდა; განათლების, მეცნიერებისა და ჯანდაცვის სისტემების სრულყოფა; საქონლისა (მათ შორის საწარმოო) და მომსახურების ახალ სახეობათა ათვისება და გამოყენება, რაც გაზრდის მოსახლეობის კეთილკდღეობის დონესა და კომფორტს და ა. შ.

გლობალური ეკოლოგიური უსაფრთხოების დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ გლობალურ ეკოლოგიურ საფრთხეებზე როგორიცაა: სათბური ეფექტი; ოზონის შრეში ხვრელების გაჩენა; ტყის გაჩეხვა; წყლის დაბინძურება; ატმოსფეროს დაბინძურება; ნიადაგის დაბინძურება; ოკეანის ზედაპირის დაბინძურება; ბიომრავალფეროვნების გაჩანაგება; ნარჩენების უტილიზაცია; ეკოლოგიური კატასტროფები; კლიმატის ცვლილება და სხვ. ამავე დროს ყურადღება უნდა გამახვილზე: საერთაშორისო გარემოსდაცვით ფორუმებზე; საერთაშორისო გარემოსდაცვითი კონვენციებზე; საერთაშორისო გარემოსდაცვითი ხელშეკრულებებზე; ევროკავშირისა და მოწინავე ქვეყნების გამოცდილებაზე გარემოსდაცვით სფეროში; მდგრადი განვითარების კონცეფციაზე; „მწვანე“ და „წრიულ“ ეკონომიკაზე.

ეროვნული ეკოლოგიური უსაფრთხოების შესწავლის დროს: უნდა დადგინდეს ქვეყანაში არსებული ეკოლოგიური სიტუაცია, რომლის დროსაც განიხილება შემდეგი სავარაუდო პრობლემები: ატმოსფეროს დაბინძურება; წყლის დაბინძურება; ნიადაგის დაბინძურება; ნარჩენების უტილიზაცია; რადიაციული და მავნე ნარჩენების განთავსება; ბუნებრივი რესურსების ათვისება; ალტერნატიული ენერგეტიკა; „მწვანე“ და „წრიული “ ეკონომიკის განვითარების დონე; საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო კონვენციებში, ხელშეკრულებებსა და გარემოსდაცვით ღონისძიებებში; გარემოსდაცვით სფეროში ევროკავშირისა და მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინება; ინსტიტუციური გარდაქმნები ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში; გარემოს დაცვის ინსტიტუციური უზრუნველყოფა; გარემოსდაცვითი პროგრამები; დაბინძურების ძირითადი წყაროები; ეკოლოგიური თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან; რეგიონული ეკოლოგიური პრობლემები და სხვ.

ქვეყნის ეკოლოგიური საფრთხეებიდან აღსანიშნავია: ატმოსფეროში მავნე გამონატყორცნების ზრდა; ნიადაგის დეგრადაცია, ეროზია, მეორადი დაჭაობება და დამლაშება; ტყის საფარის შემცირება; რადიოაქტიური და მავნე ნარჩენების ზრდა; ჩამონადენი წყლის ბიოლოგიური გაწმენდის უქონლობა; მდინარეების დაბინძურება აზოტის ნაერთებით, მძიმე ლითონებით, ნარჩენებით; ნიადაგის დიდი დანაკარგები; ავტომობილების გამონაბოლქვი; ბიომრავალფეროვნებათა შემცირება; „მწვანე“ და „წრიული“ ეკონომიკის განვითარების დაბალი დონე და სხვ.

ეკოლოგიური უსაფრთხოების მაჩვენებლებიდან შეიძლება გამოიყოს: ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მაჩვენებლები; წყლის (შავი ზღვის სანაპირო, ტბები, მდინარეები, გრუნტის წყლები) დაბინძურების მაჩვენებლები; ნიადაგის დაბინძურების მაჩვენებლები; დამაბინძურებლების ემისიები; დეგრადირებული მიწის რაოდენობა; გარემოს სანიტარულ-ჰიგიენური მაჩვენებლები; ხე-ტყის უკანონო ჭრის მოცულობა; ნახშირორჟანგის შემცველობა ატმოსფეროში; გრუნტის წყლების ხარისხი; ცალკეულ სექტორთა (ენერგეტიკა, მრეწველობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, ნარჩენები) გარემოზე ზემოქმედების მაჩვენებლები; ბიომრავალფეროვნების ცვლილების მაჩვენებლები; კლიმატის ცვლილების მაჩვენებლები; განახლებადი ენერგორესურსების გამოყენების დონე და სხვ.

ეკოლოგიური უსაფრთხოების ღონისძიებებიდან აღსანიშნავია: ეკოლოგიური უსაფრთხოების ინსტიტუციური ბაზის სრულყოფა; გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების გაგრძელება; მდინარეების აზოტის ნაერთებით, ზოგიერთი - მძიმე ლითონებით, ნავთობპროდუქტებით, კომუნალური სექტორის ნარჩენებით დაბინძურების აღკვეთა; ჩამდინარე წყლის სათანადო გაწმენდა; წყლის ბიოლოგიური გაწმენდა; ნიადაგის დაბინძურების, ეროზიული პროცესების, ნიადაგის მეორადი დაჭაობებისა და დამლაშების, სასარგებლო წიაღისეულისა და საშენ მასალათა ღია წესით მოპოვების, ადამიანის არასწორი სამეურნეო მოქმედების შედეგად ნიადაგის დანაკარგების შემცირება; უკანონო და უკონტროლო ხე-ტყის მოპოვების აკრძალვა; ატმოსფეროს ავტოტრანსპორტითა და ენერგეტიკით დაბინძურების შემცირება; სერიოზული ადამიანთა ჯანმრთელობის უზრუნველყოფის გაუმჯობესება (სურსათის უვნებლობის, ქიმიკატების უსაფრთხო გამოყენების, ავტომობილების გამონაბოლქვის მავნე ზემოქმედების, საბანაო-სარეკრეაციო წყლების სანიტარულ-ჰიგიენური დაცულობის გაუმჯობესება და სხვ.); ბიომრავალფეროვნებათა შენარჩუნება (ჰაბიტატების კარგვა, ფრაგმენტაცია და დეგრადირება, უკანონო ნადირობა და თევზჭერა, უცხო სახეობების ინტროდუქცია, ბიოლოგიური რესურსების არამდგრადი გამოყენება და სხვ.); ფაქტობრივად, დაცული ტერიტორიები მხოლოდ ბიომრავალფეროვნების დაცვისთვის, გამოყენება; აღდგენადი და არატრადიციული ენერგორესურსების ათვისების გაუმჯობესება; ნარჩენების მართვის სისტემის სრულყოფა; გარემოსდაცვითი განათლების სისტემა გაძლიერება და ა. შ.

3. სტატიაში განხილულია ის ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირში-რებული რუსეთის მიერ უკრაინაში ომთან და რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ მიღებულ ეკონომიკურ სანქციებთან. დასაბუთებულია, სანქცინომიკის, როგორც ეკონომიკური მეცნიერების იმ სფეროს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც ეკონომიკური სანქციების ეფექტიანობის საკითხებს შეიწავლის. ეკონომიკური სანქციები განაპირობებენ მსოფლიო ეკონომიკის არქიტექტურის ცვლიებებს, რომელიც ძირითადად ემსაგვსება საბჭოთა კავშირის დროინდელი „ცივი ომის" პირობებში ჩამოყალიბებულს. მსოფლიოს ქვეყნები ექცევიან იმ ქვეყნების ჯგუფში, რომლებიც იღებენ სრულმასშტაბიან სანქციებს (მაგალითად, აშშ და დიდი ბრიტანეთი და სხვ.), ან ექვემდებარებიან სანქციებს (რუსეთი და ბელარუსი), ან თუნდაც ნაწილობრივ მაინც არ იზიარებენ სანქციებს (ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყანა, ჩინეთი, ინდოეთი და სხვ.). ნაჩვენებია, რომ COVID-19-ის პანდემიის დროს გლობალიზაციის პროცესი იყო ტურბულენტურ მდგომარეობაში, ხოლო რუსეთის წინააღმდეგ შემოღებულმა სანქციებმა მსოფლიო ეკონომიკაში გააძლიერა ფრაგმენტაციულობა და, აქედან გამომდინარე, შესძინა კონფრონტაციული ხასიათი. ფაქტობრივად, სახეზეა კონფრონტაციული გლობალიზაცია. მსოფლიო ეკონომიკის არქიტექტურის საბოლოო სახე უშუალოდაა დაკავშირებული იმასთან, თუ როდის და როგორი პირობებით გახდება შესაძლებელი რუსეთ-უკრაინის ომის დასრულება. აშკარაა, რომ მსოფლიო ეკონომიკა პრაქტიკულად ვერ შეძლებს დაუბრუნდეს იმ არქიტექტურას, რომელიც რუსეთ-უკრაინის ომამდე ჩამოყალიბდა.

4. XXI საუკუნის ჰიპერკონკურენტული გლობალური ეკონომიკა ინოვაციების, ტექნოლოგიების, პროდუქტიულობის, ახალი ცოდნისა და უნარების ეპოქა გახდა, რომელიც ორიენტირებულია მდგრად და ინკლუზიურ ზრდაზე. ადამიანკაპიტალი კი ფუნდამენტური ფაქტორია მდგრადი და ინკლუზიური ზრდის უზრუნველსაყოფად. ადამიანკაპიტალის კონცეფცია რა თქმა უნდა ახალი არაა. დიდი ხანია ადამიანი აღიარებულია სახელმწიფოს სიმდიდრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად. ეკონომიკური ზრდის თანამედროვე თეორიები აღიარებენ ადამიანკაპიტალს ფიზიკურ კაპიტალთან ერთად, როგორც ეკონომიკური ზრდის ამხსნელ ცვლადს. მისი ფორმირების პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი, ინერციულია და განიცდის მრავალი ფაქტორის ზემოქმედებას, რისი გაზომვაც ერთ-ერთი აქტუალური საკითხია.

სტატიაში გაანალიზებულია ადამიანკაპიტალის გაზომვის როგორც თეორიული კონცეფციები, ასევე მასთან დაკავშირებული პრობლემები, გადმოცემულია აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნების ადამიანკაპიტალის დინამიკის ემპირიული ანალიზი და გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

5. ნაშრომში განხილულია COVID-19-ის პანდემიით, ასევე რუსეთის ომით უკრაინაში და აგრესორის წინააღმდეგ დაწესებული ეკონომიკური სანქციებით გამოწვეული ფსევდოდეგლო-ბალიზაციის პროცესი. ნაჩვენებია, რომ დეგლობალიზაცია, როგორც ასეთი, პრინციპულად შეუძლებელია და არცაა მიზანშეწონილი. შესწავლილია ჰიპერგლობალიზაციის ტრანსფორმა-ციის ეტაპები. როგორც მსოფლიოს, ისე ცალკეული ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევების გათვალიწინებით გაკეთებულია დასკვნა, რომ ახალი გლობალიზაცია ეკონომიკური უსაფრთ-ხოების საკითხებთან უშუალო კავშირში უნდა იყოს. ეკონომიკური უსაფრთხოების უშალო გა-მოწვევებია, მაღალი ინფლაცია, გლობალური სტაგფლაცია, სავალო კრიზისი, „ნავთობის ომი", „სასურსათო ომი" და სხვ. ყველა ამ გამოწვევას აქვს როგორც გლობალური, ისე ლოკალური ხასიათი.

6. ნაშრომში განხილულია და სისტემატიზებულია ელემენტები (ატრიბუტები, ინსტრუმენტები, მექანიზმები, ცნობიერი რეგლამენტატორები), რომლებიც უზრუნველყოფენ გლობალიზაციის რეალიზაციას საერთოდ და გლობალურ ეკონომიკურ განვითარებას კერძოდ. ჩატარებულია თანმიმდევრული ექსკურსი სხვადასხვა ისტორიული ეპოქის ძირითადი გლობალიზაციების მიხედვით, ამ გლობალიზაციებში ეკონომიკური და ჰუმანიტარული განვითარების დონის

მდგომარების მოკლე დახასიათებით. განსაკუთრებული ყურადღებით ნაშრომში განხილულია რუსეთის იმპერიის (საბჭოთა კავშირის, რუსეთის ფედერაციის) სივრცეზე ელიტის ჩანაცვლების მცდელობები და მისი ჩანაცვლება გლობალიზაციის შესაბამის პერიოდებთან კონტექსტში. შემდეგ სისტემატიზებულია და მოკლედ გაშუქებულია ძირითადი ეკონომიკური საფრთხეები, დამახასიათებელი გლობალიზაციის უკანასკნელი პერიოდისათვის (ჰიპერგლობალიზაციისათვის – 1991-2015 წლები). ნაშრომის დასასრულს მოკლედ გაშუქებულია ზოგიერთი ასეთი საფრთხის გავლენა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე.

ამ ნაშრომის მიზანი იყო იმ ეკონომიკური საფრთხეების გამოვლენა, რომლებიც ჩნდება გლობალიზაციის ბოლო ეტაპის (ჰიპერგლობალიზაციის) განვითარების დროს და განაპირობებენ გლობალიზაციის ახალ ეტაპზე გადასვლის საჭიროებას, აგრეთვე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ამ საფრთხეების ზემოქმედების დადგენა ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე. ამ პრობლემის გადაჭრაზე გადასვლამდე, ნაშრომში შესწავლილია ბოლო პერიოდის გლობალიზაციათა განვითარების პროცესების ზოგადი სტრუქტურული პრობლემები, რათა გამოვლენილი და სისტემატიზებული ყოფილიყო მსოფლიო და სახელმწიფოს გავლენისა და ბიზნეს კოორდინაციის სტრუქტურები გლობალიზაციის განვითარების პროცესებზე.

ამიტომ, ნაშრომის პირველი თავის პირველ ქვეთავშში გამოვლენილია (ზოგიერთი კი შემოღებულია ჩემს მიერ), სისტემატიზებული და დახასიათებული სტრუქტურული ელემენტები (ატრიბუტები, კატეგორიები, ინსტრუმენტები, მექანიზმები და ა.შ.), რომლებიც უზრუნველყოფენ გლობალიზაციების მსვლელობასა და განვითარებას. ამ მრავალ ატრიბუტს შორის განიხილება; ორდენები (როზენკრეიცერების, იეზუიტების); ელიტები; ფინიკიელები (ანუ პუნები, ებრაელები, იუდეები, რაც ეროვნების ნიშნით ერთი და იგივეა); ისტორიული პროექტები, რომლებიც ცვლიან ისტორიის მიმდინარეობას და სოციალური ურთიერთობების ხასიათს; გლობალური მნიშვნელობის ფინანსური ცენტრები; კეთილი პუნები და პუნ ვამპირები. შემდეგ, გლობალიზაციის პროცესებში დიდი მნიშვნელობა აქვთ ისეთ კატეგორიებს, როგორიცაა სულიერება, ისტერიულობის პროვოცირება, ელიტების ჩანაცვლების ოპერაციები, მღვდელ-ბანდიტები (ან, რაც იგივეა, ღვთის ძაღლები), „პობორნიკები“, „ბიდლო“. გლობალიზაციის ატრიბუტებია ასევე მედია, საიდუმლო სადაზვერვო ქსელები, საიდუმლო საინფორმაციო ქსელები. პირველი თავის მეორე ქვეთავში განიხილება ელიტის ჩანაცვლების ან შემოღობვის პროცესებში ისეთი ცნენების ურთიერთკავშირი, როგორიცაა პუნ-ვამპირები, ღვთის ძაღლები (псы господни) და ძაღლთა ელიტა (пся элита). შემოღობვა თავისთავად წარმოადგენს გლობალიზაციის კატეგორიას (ატრიბუტს) და შეიცავს კომპონენტების შემდეგ თანმიმდევრობას: 1. პროექტირება; 2. გადაკიდება; 3. „ელიტის“ ჩანაცვლება; 4. ძირითადი მკვიდრი მოსახლეობისათვის საცხოვრებელი პირობების შეცვლა. განხილულია შემოღობვის სხვადასხვა გლობალიზაციური პერიოდის რამდენიმე მაგალითი. განსაკუთრებული ყურდღება ეთმობა რუსეთის ფედერაციაში ინკვიზიტორული ბნელეშმაკური სისტემის შემოღებას. ამასთან დაკავშირებით მოყვანილია ფრანსუა მარი ვოლტერის შეხედულებები, რომელიც ჯერ კიდევ მე-18-ე საუკუნეში ებრძოდა რელიგიოზურ ფანატიზმს და ბნელეშმაკობას. შემოღობვის პროცესში ელიტის პუნ-ვამპირებით ჩანაცვლებისთვის მომზადების ერთ-ერთი ხერხი არის ამჟამინდელი ელიტის წევრებისა და თუნდაც ჩვეულებრივი ჭკვიანი ადამიანების (მათ შორის ბავშვების), რომლებიც მხარს უჭერენ არსებულ ელიტას ან თუნდაც უბრალოდ მათი აზრით „არასწორედ აზროვნებენ“, სროლით ან სხვაგვარად მოკვლა. ამ ქვეთავში მოცემულია ასეთი ქმედებების მაგალითები საბჭოთა კავშირის ისტორიიდან, როგორც ცნობილი, ასევე პირადი გამოცდილებიდან.

მეორე თავის პირველ ქვეთავში მოცემულია ყველა წინა გლობალიზაციის რეტროსპექტივა, მეორე ქვეთავში კი ელიტების ჩანაცვლებისა და მათი ჩანაცვლების მცდელობების პერიპეტიები რუსეთის იმპერიაში, სსრკ-ში და პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის მოტანილია ინფორმაცია პირადი გამოცდილებიდან.

მესამე თავში გამოვლენილია ჰიპერგლობალიზაციის ბოლო პერიოდისთვის დამახასიათებელი ძირითადი ეკონომიკური საფრთხეები. უპირველეს ყოვლისა, განიხილება უცხოელი მეცნიერების შეხედულებები, რომლებიც განსაზღვრავენ მიზეზებს, რის გამოც დასრულდა ჰიპერგლობალიზაცია. შემდეგ სისტემურად იდენტიფიცირებულია მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს ჰიპერგლობალიზაციის დასრულება. არც თუ ისე ბევრი ასეთი მიზეზია: 1. მოძველდა ეკონომიკის მოქმედი მოდელი. საჭიროა მისი გადასინჯვა იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს გლობალიზაციის შემდგომ ეტაპზე გადასვლა. 2. რესურსების გამწვავებადი დეფიციტის პირობებში რეალიზდებოდა ეკონომიკის სამომხარებლო მოდელი პრინციპის „უპირველეს ყოვლისა ბაზარია“ მიხედვით; 3. TNC-ები ცდილობენ გაანადგურონ კონკურენტი წარმოებები, ანუ ის წარმოებები, რომლებიც მათ არ ეკუთვნის; ჭარბი ფულადი კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა ჰიპერგლობალიზაციის წესების მიხედვით ზოგიერთ შემთხვევაში პრობლემას უქმნის მიმღებ ქვეყნებს; 5. ჰიპერგლობალიზაციის ერთ-ერთი მთავარი საშიშროებაა დასაქმებულთა პროცენტული რაოდენობის შემცირება რიგი მიზეზების გამო; 6. კაპიტალიზმის ტრადიციული მოდელის საკმარისი ქმედითუნარიანობის დაკარგვა; და სხვა.

მეოთხე თავში დადგენილია ჰიპერგლობალიზაციისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი საფრთხის გავლენა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე: 1. ჰიპერგლობალიზაციის წესების პირობებში ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მიღწევის სირთულე და შეუძლებლობაც კი; 2. საქართველოში სხვადასხვა გლობალური ჰიპერ- და სუპერმარკეტების გაჩენა, რომელთა საქმიანობის გამო ქვეყნის საგარეო ვალი უფრო სწრაფად იზრდება; 3. ჰიპერგლობალიზაციით გამოწვეული სტაგფლაციის პროცესების შედეგად ევროპაში ადრე დასაქმებული ბევრი მუშაკი იძულებული გახდა საქართველოში დაბრუნებულიყო; 4. და რა თქმა უნდა, გლობალური ინფლაციის პრობლემამ გვერდი არ აუარა საქართველოსაც.

7. კვლევაში განხილულია ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციები, რომლებიც ამჟამად არსებობს ეკონომიკურ ლიტერატურაში. არსებული მიდგომების მეთოდოლოგიური ჩარჩოების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოში ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხების განხილვის ყველაზე გამორჩეული მეთოდი ლინო ბრიგულიოს მიერ შემოთავაზებული მიდგომაა. თანდაყოლილი ეკონომიკური მოწყვლადობისა და შექმნილი ეკონომიკური გამძლეობის ერთობლიობაზე დაყრდნობით, ეს მიდგომა ქმნის მეთოდოლოგიურ ჩარჩოს გარე შოკების ზემოქმედების შედეგად გამოწვეული რისკის შესაფასებლად. ამ მიდგომის მიხედვით, ქვეყნისთვის გარე შოკის უარყოფითი ზემოქმედების რისკი დადებითად არის დაკავშირებული ქვეყნის თანდაყოლილი მოწყვლადობის პირობებთან და უარყოფითად ასოცირდება კარგ ეკონომიკურ მმართველობასთან. ეს მეთოდოლოგიური ჩარჩო შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ინსტრუმენტი საქართველოში ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობის შესაფასებლად და ეკონომიკური მოწყვლადობის უარყოფითი შედეგების დასაძლევად მიმართული პოლიტიკის შემუშავების მიზნით.

8. გლობალიზაცია დღევანდელი კაცობრიობის შეუქცევადი პროცესი გახდა, რომელმაც ყველა სუვერენული ქვეყანა დააყენა გარკვეული პრობლემების წინაშე მისი უარყოფითი თვისებებიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში ერთ-ერთ გამოწვევად წარმოჩინდა ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა, რომელსაც საქართველოც ვერ ასცდება. ამ მიმართულებით ერთ-ერთ გლობალურ გამოწვევად გვესახება ჩვენი ქვეყნის იმპორტდამოკიდებულება, რომელიც ჯერ-ჯერობით უარყოფითი მაჩვენებლებით ხასიათდება. ასეთი ტენდენცია კი უფრო მეტად მგრძნობიარეა მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე მცირე და დიდი რყევებისადმი. ეს მოითხოვს მის მინიმუმამდე დაყვანას სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით.

საქართველოს ეკონომიკის ორნიშნა ციფრით ზრდა უკვე იძლევა გარკვეულ წინაპირობას იმისა, რომ ქვეყნის განვითარება პროგრესული გზით მიმდინარეობს. ეს გლობალურ

პროცესებთან მიმართებაში ეკონომიკური უსაფრთხოების კუთხით მოსალოდნელ რყევებსაც თანდათანობით შეამცირებს.

9. საფრთხეები ცხოვრების შეუცვლელი თანამგზავრია და ინდივიდების, საზოგადოების, სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზეა თანმდევი, სიცოცხლის უსაფრთხოების კონტექსტ-ში საფრთხე ეს ძირითადი ცნებაა, რომლის ქვეშ იგულისხმება შესაძლო ან/და რეალური მოვლენები, პროცესები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადამიანს და რომლებსაც შეუძლიათ გარკვეულ პირობებში ზიანი მიაყენოს მის ცხოვრებას და ჯანმრთელობას.

სხვადასხვა ქვეყნების შედარებითმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ სოციალური საფრთხეების შინაარსი, დონე, ხასიათი ცალკეულ ქვეყანაში განსხვავებულია, ისევე როგორც განსხვავებულია მათი აღქმა, მიდგომები და აღმოფხვრის გზები.

მაღალგანვითარებულ ქვეყნებში სოციალური საფრთხეები შენარჩუნებულია, მაგრამ მათი გამოვლინება შედარებით ნაკლები ხარისხით ხდება. ამ ქვეყნებში სოციალური სფერო იკავებს პრიორიტეტულ ადგილს და ხორციელდება ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობის ფენის მიმართ ეფექტური სოციალური დაცვა. პირველ პლანზეა წამოწეული არანაკლებ მნიშვნელო-ვანი პრობლემების გადაწყვეტა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ინფორმაციულ, ეკოლოგიურ, ტექ-ნოლოგიურ, სამხედრო, სულიერ და საერთაშორისო დონეებზე.

სრულიად განსხვავებული სიტუაციაა განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყ-ნებში. არაეფექტური ეკონომიკა და პოლიტიკური არასტაბილურობა უარყოფითად აისახება სოციალურ სფეროზე, იწვევს საფრთხეების და საშიშროებების ზრდას, რომელიც მადესტაბი-ლიზებელ ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის მდგომარეობაზე და არ იძლევა პროგრესული რეფორმების გატარების საშუალებას.

ამგვარად, მხოლოდ თავისი ბუნებით დემოკრატიული გარდაქმნა, სტაბილიზაცია პოლიტიკურ და ზრდა ეკონომიკურ სფეროში საშუალებას იძლევა აღმოიფხვრას სიღარიბის, არასამართლიანობის სოციალური ბაზა და ორგანიზებული დანაშაულების, სპონტანური აჯანყებების, შეაირაღებული კონფლიქტების და სხვა ლიკვიდირება მოახდინოს.

10. ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკა ევროკავშირში, რომელიც თანამედროვე პირობებში ევროპის კონტინენტზე მთავარი მოთამაშეა ეკოლოგიის სფეროში, წარმოადგენს მისი საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად და პრიორიტეტულ მიმართულებას. იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად არსებული გლობალური ეკოლოგიური პრობლემების დაძლევა შეუძლებელია რომელიმე ერთი ქვეყნის ფარგლებში, მათი ტრანსსასაზღვრო ხასიათიდან გამომდინარე, ევრო-კავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ეფექტიანი საერთაშორისო პოლიტიკის ჩამოყალიბებას. ევროკავშირი ითვლება ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში მრავალი საერთაშორისო ნორმის შემოღების ინიციატორად 2001 წელს მიღებულ ევროკავშირის მდგრადი განვითარების და ეკოლოგიური უსაფრთხოების სტრატეგიის მთავარი მაგისტრალური ხაზი არის ეკოლოგიური ფაქტორების სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებთან თანაბარ დონეზე გათვალისწინება გადაწყვეტილებების მიღების დროს. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება და ეკოლოგიაზე უარყოფითი ანთროპოგენური ზემოქმედების შემცირება. თანამედროვე პირობებში ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტიტუციური მხარდაჭერა ევროკავშირში ხდება ძირითადად ევროპარლამენტის და ევროკომისიის მიერ.

ნაშრომში გაანალიზებულია ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის ცვლი-ლება ეკოლოგიური უსაფრთხოების მიღწევის კონტექსტში, რამაც მას ახალი გლობალური მო-თამაშის იმიჯი დაუმკვიდრა.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ევროკავშირის გამოცდილების განზოგადებას ეკოლოგიური კანონმდებლობის, ეკოლოგიური პოლიტიკის და ინსტიტუციური სტრუქტურების სრულყოფის მიმართულებით. აგრეთვე, ბუნებრივი რესურსების რაციონალური მართვის და გარემოს გაჭუჭყიანების კონტროლის საკითხების გაშუქებას.

11. წარმოდგენილი ნაშრომი შედგება ორი ნაწილისგან. პირველ ნაწილში განხილულია, ეკონომიკური განვითარების ცალკეული ეტაპების მიხედვით, აშშ-ს ეკონომიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემები, გაანალიზებულია ეკონომიკური და ეკოლოგიური საფრთხეების წარმოშობის საშინაო და საგარეო ფაქტორები და ნაჩვენებია მათი დაძლევის გზები. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ აშშ-ს ეკონომიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოების მთავარი გარანტი მისი ეკონომიკური სიძლიერეა. ქვეყანა აწარმოებს მსოფლიო მშპ-ს თითქმის ¼-ს (24,4%), რაც ეფუძნება მძლავრ ბუნებრივ-რესურსულ უზრუნველყოფას, უახლესი ტექნოლოგიების საფუძველზე ფორმირებულ სამრეწველო-ენერგეტიკულ ბაზას, მაღალგანვითრებულ სოფლის მეურნეობასა და აგრო-სამრეწველო კომპლექსს, რაც წარმოადგენს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მთავარ გარანტს.

ქვეყნის სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და სატრანსპორტო კომპლექსის მაღალი ტემპებით განვითარებას შედეგად მოსდევს მისი ბუნებრივი გარემოს დაბინძურება, რომლის ძირითადი მიმართულებებია: ჰაერისა და წყლის დაბინძურება, მყარი ნარჩენების ზრდა და სითბური ეფექტის გაძლიერება. ნაშრომში გაანალიზებულია გარემოს დაბინძურების გამომწვევი მიზეზები და ნაჩვენებია მათი დაძლევის გზები.

ნაშრომის მეორე ნაწილში განხილულია იაპონიის სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემები. ცნობილია, რომ სწორი ეკონომიკური პოლიტიკისა და სათანადო ეკონომიკური რეფორმების განხორციელებით, გასული საუკუნის მეორე ნახევარში ქვეყანამ მიაღწია არნახულ წარმატებებს, რომელიც ისტორიაში შევიდა „იაპონური სასწაულის“ სახელით. მიუხედავად ბოლო პერიოდში დიდი ეკონომიკური რყევებისა და ზრდის ტემპების შენელებისა, იგი მაინც ინარჩუნებს მაღალი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მქონე ქვეყნის სტატუსს. ნაშრომში გაანალიზებულია იაპონიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები, გამოვლენილია ამ მიმართულებით მიღწეული წარმატებები, არსებული გამოწვევები და ნაჩვენებია მათი დაძლევის გზები.

12. ნაშრომი ეძღვნება ისეთ მნიშვნელოვან პრობლემას, როგორიცაა გლობალური სასურსათო უსაფრთხოება და მისი გავლენა ეროვნულ სასურსათო უსაფრთხოებაზე. როგორც ცნობილია სურსათს, როგორც სასურსათო უზრუნველყოფის მთავარ კომპონენტს, სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება და ეროვნული უსაფრთხოების საერთო სისტემაში განმსაზღვრელი ადგილი უკავია.

სასურსათო უსაფრთხოების ცნება 1970-იან წლებში გაჩნდა და მას შემდეგ მუდმივად იხვეწება გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ამა თუ იმ დადგენილებებში. ნაშრომში განხილულია სასურსათო უსაფრთხოების ძირითადი მიმართულებები; სასურსათო პრობლემების არაერთგვაროვნება პლანეტის სხვადასხვა რეგიონში; გაანალზებულია სასურსათო კრიზისის მიზეზები და შემოთავაზებულია მისი გადაჭრის ძირითადი გზები; გამოკვლეულია ქვეყანაში არსებული მდგომარეობა და შემუშავებულია მისი გამოსწორების ღონისძიებათა სისტემა.

13. მდგრადი განვითარება, როგორც საზოგადოების განვითარების სისტემა, რომლის მიზანია საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით ადამიანის კეთილდღეობის, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდა, ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმად, დღევანდელობის მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს. იგი უპირველეს ყოვლისა ორიენტირებულია საზო-

გადოების რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი უზრუნველყოფაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომში განხილულია მდგრადი განვითარების ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების თეორიული და ემპირიული ასპექტები ბენელუქსის ქვეყნების მაგალითზე. გაანალიზებულია გაეროს მეთოდოლოგიის თანახმად შემუშავებული ინდიკატორთა და მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც იძლევა ქვეყნის განვითარების ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ასპექტების შეფასების საშუალებას. სწორედ ამ ინდიკატორთა საფუძველზე შესწავლილია ბენელუქსის ქვეყნებში არსებული მდგომარეობა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყნების გამოცდილება როგორც სოციალური, ასევე ეკონომიკური კუთხით წარმოადგენს ერთ-ერთ წარმატებულს მსოფლიო მასშტაბით.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეკოლოგიურ ინდიკატორებს თეორიულ და პრაქტიკულ ჭრილში. ბენელუქსის ქვეყნების მოდელი ითვლება ერთ-ერთ წარმატებულ და საინტერესო მოდელად და ამიტომ ნაშრომში გაანალიზებულია ბენელუქსის ქვეყნების გარემოსდაცვითი პოლიტიკის და ეკოლოგიური უსაფრთხოების თავისებურებები და შესაბამისი ინდიკატორები.

14. 1980-იანი წლების ბოლოს რუსეთის ეკონომიკა ღრმა კრიზისში აღმოჩნდა, რომლის მიზეზი საკმაოდ რთული და მრავალფეროვანი იყო, დაწყებული საშინაო პოლიტიკიდან, დამთავრებული სოციალურ-კულტურულამდე. თუმცა, გამწვავებული წინააღმდეგობების სირთულის მიუხედავად, ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული თემა იყო სოციალური მიმართულების სტრუქტურის დისბალანსი და მისი განვითარების მექანიზმების ნაკლებობა. სსრკ-ს ეკონომიკის მილიტარიზაციამ და მონოპოლიზაციამ, მოქალაქეთა სამეწარმეო საქმიანობის ჩახშობასთან ერთად მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში, აგრეთვე სოციალური სექტორების მიმართულებით დაფინანსების ნაკლებობამ, წარმოშვა სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის მწვავე პრობლემები, რაც უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით მკვეთრად ჩამორჩებოდა განვითარებულ ქვეყნებს. თანამედროვე რუსეთმა მემკვიდრეობით მიიღო პრობლემები და აღმოჩნდა ისეთ სიტუაციაში, როდესაც გადაუჭრელი სოციალური საკითხები ხელს უშლიდა შემდგომ ეკონომიკურ განვითარებას, საჭიროებდა პრობლემების დაუყოვნებლივ გადაწყვეტას და მოქმედი მექანიზმის ჩამოყალიბებას.

შესაბამისად, რეფორმების მიმდინარე ეტაპის ერთ-ერთი მთავარ ამოცანად მიიჩნეოდა სოციალური სფეროს პრიორიტეტული განვითარება. სახელმწიფოს გაზრდილმა შესაძლებლობებმა, ახალი ეტაპი დაიწყო ქვეყნის თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, მოხდა ნაწილობრივი ე.წ. „სახელმწიფოს დაბრუნება“ დაკარგულ პოზიციებზე. საკითხები, რომლებიც დიდი ხანია ხელისუფლების მხრიდან სათანადო ყურადღების გარეშე დარჩა, უკვე კონტროლის ქვეშ მოექცა.

განვითარებადი ქვეყნების გადასვლა განვითარების პოსტინდუსტრიულ ეტაპზე, რომელიც დაფუძნებულია არა მხოლოდ ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფ ზრდაზე, არამედ ადამიანური კაპიტალის ღირებულების განახლების განუყოფელ პროცესზე, არ შეიძლება იგნორირებული იყოს რუსეთის მიერ, რომელიც მიზნად ისახავს გაუთანაბრდეს განვითარებული ქვეყნების დონეს, რაც უზრუნველყოფს მოქალაქეების ცხოვრების ღირსეულ დონეს.

15. ნაშრომში გაანალიზებულია გლობალური და ეკონომიკური საფრთხეები და მათი მშენებლობის ეროვნული სექტორის უსაფრთხოებაზე გავლენის თეორიული საკითხები. დასახულია საქართველოში მშენებლობის სექტორში ეკონომიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოებისათვის საჭირო ზომების მისაღები ღონისძიებები.

16. ნაშრომში განხილულია ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების არსი და სტრატეგიული მნიშვნელობა მის ფუნქციონირებაში. დასაბუთებულია ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობის ანალიზისა და შეფასების და, შესაბამისად, ფირმაში ეკონომიკური

უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის შემუშავებისა და დანერგვის აუცილებლობა. ჩამოყალიბებულია ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციის მეთოდოლოგიური პრინციპები და მიდგომები.

17. ნაშრომში სისტემატიზებულია ევროკავშირის წევრი ქვეყნების ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების გამოცდილება ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთ-ხოების სფეროში და გაანალიზებულია მისი გამოყენების შესაძლებლობა საქართველოში. ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა, რომ ერის ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა გადამწყვეტ გავლენას ახდენს გლობალურ სამყაროში მკაფიო ადგილის უზრუნველყოფაზე, რომელიც ითვალისწინებს ერის ეროვნულ სტრატეგიულ ღირებულებას და პოტენციალს. განხილულია ევროკავშირის ქვეყნებში ეკონომი-კური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ყველაზე გავრცელებული გზები. ხაზგასმულია, რომ ბოლო ათწლეულებში სულ უფრო აქტუალური ხდება ევროკავშირის ერთიანი სოციალური პოლიტიკის ჩამოყალიბების ამოცანა. ევროკავშირის მიერ შემოთავაზებული ახალი ევროპული სოციალური მოდელი შეიცავს საზოგადოების ყველა სექტორის ურთიერთდაკავშირებისა და სოლიდარობის იდეას, სახელმწიფოების, სოციალური ინსტიტუტების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სოციალური პარტნიორების ძალისხმევის გაერთიანებით ახალი ძლიერი სოციალური ევროპის მშენებლობაში. რაც ასევე კეთდება და გაკეთდება ევროპის მწვანე გარიგებით და მომავალი 2030 წლის ციფრული ათწლეული წარმატებულია. ევროკავშირის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გარემოს-დაცვითი დღის წესრიგს. შვიდი „გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამა“ მიღებულია ევროპული ინსტიტუტების მიერ და მიმდინარე, მერვე ასეთი პროგრამა გათვლილია 2021-2030 წლებში. ის მიზნად ისახავს დააჩქაროს კლიმატის ნეიტრალიტეტზე გადასვლა, სუფთა და ეფექტური ენერგია და წრიული ეკონომიკა.

18. ნაშრომი ეძღვნება საწარმოების ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიულ-მეთოდოლო-ლოგიური საკითხების შესწავლას. შესწავლილია საწარმოს ეკონომიკრი უსაფრთხოების არსი, მნიშვნელობა, რომლის შედეგად მოცემულია საწარმოს ეკონომიკური ეფექტიანობის ავტორი-სეული ინტერპრატაცია. დღეისათვის, გამომდინარე იქიდან, რომ გაძლიერებულია საწარმოს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე გარე და შიგა ფაქტორების გავლენა, აუცილებელს ხდის ეკონომიკური უსაფრთხოების ისეთი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს მუშაობის ეფექტურობას და მდგრადობას, ფინანსურობას და ინფორმაციულობას, ინოვაციურობას, კონკურენტუნარიანობას და კადრების მაღალკვალიფიციურობას. ასევე საწარმოს ეკონომიური უსაფრთხოების სისტემა უნდა მოიცავდეს გარე და შიგა შემაშფოთებელი ფაქტორების გავლენით წარმოქმნილი რისკების შემცირების ღონისძიებებს.

ნაშრომში მოცემულია რეკომენდაციები საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების ეფექ-ტური სისტემის შემუშავების შესახებ. გამოკვეთილია საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინდიკატორების სისტემა, განსაზღვრულია ძირითადი მიმართულებები ფაქტორების ნეგატიური გავლენის შემცირებისათვის/ნეიტრალიზაციისთვის.

19. ნაშრომში შესწავლილია ეროვნული უსაფრთხოების გამტკიცების პრობლემა, რომლის ერთ ერთი შემადგენელი ნაწილია გლობალური ეკონომიკური უსაფრთხოება, დადგენილია, რომ ქვეყნის გლობალური ეკონომიკური საკითხები მოიცავენ, როგორც გარეგანი ხასიათის საფრთხეებს ისე საშინაო საფრთხეებს, რომლებიც არანაკლებ ემუქრებიან ეკონომიკურ უსაფრხოებას. საუბარია ეკოლოგიურ საფრთხეებზე და მათ გავლენაზე საზამთრო და საზაფხულო საძოვრების პროდუქტიულობაზე, ნაშრომში მოცემულია ქვეყნის ეროვნული სოფლის მეურნეოის ეკონომიკური ჩამორჩენის ობიექტური და სუბიექტური მიზეზები, მათი დაძლევის ეკონომიკური და მეურნეობრივი ორგანიზაციული ღონისძიებები.

20. ნაშრომი ეძღვნება მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისათვის პირველხარისხოვან პრობლემებს, როგორიცაა: ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოება და აღნიშნულია, რომ თითოეული მათგანი ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი შემადგენელი ნაწილია. აქ მოყვანილია ამ პრობლემათა ამომწურავი განმარტებები, მათი შემადგენელი კომპონენტები, მაჩვენებელთა (ინდიკატორთა) სისტემები და თითოეული მათგანი დაწვრილებითაა გაშლილი. ნაშრომში განხილულია მიზეზები, რაც უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების ზოგად მაჩვენებლებზე, მითითებულია მათი აღმოფხვრის გზები.

ნაშრომი შესრულებულია ჩინეთის და თურქეთის მაგალითზე. განხილულია ამ ქვეყნებში ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების არსებული მდგომარეობა, მოყვანილია მათი მათი შედარება სხვა ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებთან და თითოეული მათგანის მთავრობათა მიერ დასახული მომავლის გეგმები. ეს ანალიზი გაკეთებულია საკმაოდ ფართო სტატისტიკური ციფრული მასალის საფუძველზე. ნაშრომში გაკეთებულია როგორც თურქეთში, ისე ჩინეთში აღნიშნული პრობლემების ანალიზის საფუძველზე შესაბამისი დასკვ-ნები, რომლებიც განზოგადოებულია.

21. ნაშრომი ეძღვნება დღევანდელობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას, როგორიცაა გლობალური ეკოლოგიური საფრთხეები. ავტორს აღნიშნული პრობლემა დაკავშირებული აქვს ეროვნული ტურიზმის უსაფრთხოების საკითხებთან. ასევე მითითებული აქვს გლობალური ეკოლოგიური საფრთხეების ძირითადი მიზეზები და, რომ ისინი უშუალოდ ეხება კაცობრიობის არსებობას საერთოდ. ავტორს მოყვანილი აქვს ეკოლოგიური საფრთხეების განმარტება, რომელიც მიღებულია და შემდგომ მუდმივად იხვეწება გაეროს სხვადასხვა დებულებების მიხედვით; აგრეთვე გაეროს მიერ მიღებული და ადგილობრივი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც არეგულირებენ ტურიზმის შემდგომ განვითარებას და მის შესაბამისობას ამა თუ იმ რეგიონის ეკოლოგიურ მდგომარეობასთან. ავტორს ჩატარებული აქვს ტურიზმის, როგორც ეკოლოგიაზე დიდი ზემოქმედების მქონე დარგის მნიშვნელობის ანალიზი და მისი შემდგომი განვითარების გზები.

22. თემის აქტუალურობა გამოწვეულია საწარმოს მართვის ეფექტური სისტემის შექმნის აუცილებლობით, რაც დაფუძნებულია მისი მდგრადი განვითარების მექანიზმის ფორმირებაზე და შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების მექანიზმი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსოფლიოში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, რამაც გამოიწვია ეკონომიკური არასტაბილურობის ზრდა, ეკონომიკის მდგრადი განვითარების შესაძლებლობის მნიშვნელოვანი შემცირება, ამასთან დაკავშირებით საწარმოებს სჭირდებათ მუდმივი მონიტორინგი, საწარმოზე შიდა და გარე ფაქტორების გავლენის სრულფასოვანი შეფასება. ეკონომიკური განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე დიდი ყურადღება ექცევა მთელი ეროვნული ეკონომიკის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხს. ეროვნული ეკონომიკის განვითარების სტაბილურობა დამოკიდებულია ტერიტორიებისა და საწარმოების ეკონომიკური უსაფრთხოების განვითარების დონის სტაბილურობაზე, აღნიშნული წარმოშობს ეკონომიკური კვლევების აუცილებლობას, რაც საჭიროა არა მხოლოდ მეწარმეებისათვის, არამედ ხელისუფლებებისათვისაც. საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების დონე დამოკი-დებულია იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად შეუძლიათ მის მმართველ პერსონალს (მენეჯერებს) და სპეციალისტებს თავიდან აიცილონ შესაძლო საფრთხეები და აღმოფხვრან შიდა და გარე გარემოს უარყოფითი ზემოქმედების შედეგები.

ნაშრომში წარმოდგენილია გლობალური ეკონომიკური საფრთხეები და მათი გავლენა საწარმოს ეკონომიკური განვითარების სტაბილურობაზე. თვალსაჩინოა იმ საფრთხეების განეიტრალების პრობლემის გადაწყვეტისთვის საჭირო აქტიურობისა და გზების ძიების მცდელობა, რომლებიც საწარმოს ეკონომიკის სტაბილურ განვითარებაზე მოქმედებს.

23. Covid 19 პანდემიამ რადიკალურად შეცვალა თითოეული სახელმწიფოს წესწყობილება, დღის წერიგში დადგა პოლიტიკური და ეკონომიკური მოწყობის გადახედვის და მნიშვნელოვანი გარდაქმების განხორციელების საკითხები. გლობალური პანდემია როდი წარმოადგენს მხოლოდ ვიწრო გაგებით სამედიცინო ხასიათის გამოწვევას. რეალურად, **COVID-19** სერიოზული გამოწვევების წინაშე აყენებს შიდა და საგარეო ურთიერთობის სისტემებს, თვისობრივად ახალ აქცენტებს შემოიტანს არა მხოლოდ ადამიანთა შორის კონტაქტებში, არამედ საერთაშორისო ურთიერთობების დღემდე არსებულ ფორმაციაში. ვირუსით გამოწვეული ეკონომიკური და ფინანსური ზარალი უკვე ტრილიონობით დოლარს ითვლის, თუმცა, ციფრობრივი მაჩვენებლის გარდა უმთავრესია არსებული გლობალური ეკონომიკური წესწყობილების მოშლისა და მისი სრულიად ახალ პრინციპებზე გადაწყობის პროცესები. პანდემიამ გამოკვეთა თანამედროვე გლობალიზაციის სუსტი მხარეები და დღის წესრიგში დააყენა რიგი საკითხების ახლებურად გააზრების აუცილებლობა როგორც ეროვნულ, ასევე გლობალურ დონეზე. ნაშრომში განხილულია ჯანდაცვის სისტემაში არსებული საფრთხეები, განსაკუთრებით კი Covid 19 პანდემიის უარყოფითი შედეგების გავლენა როგორც მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ასევე გლობალურ და ეროვნულ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე. გამოკვეთილია ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ცნება, კონცეფცია და ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია საქართველოსათვის და მისი მნიშვნელობა, საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმა პანდემიის უარყოფითი შედეგების დასაძლევად, Covid 19-ის ზეგავლენა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორზე, ფისკალური პოლიტიკის მდგრადობის საკითხები აღნიშნულ ჭრილში, თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რეკომენდაციები ჯანდაცვის სექტორში არსებული პრობლემების დასაძლევად და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

24. ნაშრომში მიმოხილულია კლიმატის ცვლილების, როგორც ერთ-ერთი გლობალური საფრთხის, მის მიერ გამოწვეული კატასტროფებისა და სტიქიური მოვლენების შესახებ.

აღნიშნულია კლიმატის ცვლილებით გარემოზე ზეგავლენის შედეგებისა და მასშტაბების, შეცვლილი ბუნებისა და ეკოსისტემების, ,,სათბურის ეფექტით" გამოწვეული მავნე შედეგების ინტენსივობის თაობაზე. ეკოლოგიური საფრთხეების შემცირებისა და მათი შედეგების შემსუბუქების საკითხებში საბაზისო გადაწყვეტილებების შესახებ.

გამოკვეთილია კლიმატის რყევაზე მოსახლეობის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების დამოკიდებულება, კლიმატის ცვლილებებიდან გამომდინარე გარკვეული პროგნოზების მოცემულობა. საქართველოს ტერიტორიაზე ცალკეული სტიქიური მოვლენისა თუ კატასტროფის ამსახველი მდგომარეობის შეფასება.

მითითებულია პრობლემის მოგვარების გზაზე თითოეული ჩვენგანის როლისა და ფუნქციური მონაწილეობის განსაზღვრაზე. განსაკუთრებით გამოკვეთილია სამთავრობო უწყებების მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების ჰარმონიული ერთობლიობის თაობაზე.

25. ნაშრომში განხილულია სოციალური უსაფრთხოების გამოცდილება ევროკავშირში, მისი სტრატეგია და ბერკეტები რომელსაც იყენებს დასაქმების, ჯანდაცვის, განათლების და ა.შ. სექტორში. გაშუქებულია ევროკავშირის არსი, მიზნები და ამოცანები. გაანალიზებულია სოციალური ინოვაციების როლი და მნიშვნელობა. დახასიათებულია ევროკავშირში ინტეგრაციის სტანდარტები, რეკომენდაციები და მოთხოვნები. მიმოხილულია სოციალური ეკონომიკის ზოგიერთი საკითხი.

26. ნაშრომი ეძღვნება დღევანდელობისათვის ისეთ მწვავე პრობლემას, როგორიცაა სოციალური უსაფრთხოება, რომელიც ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. ავტორს მითითებული აქვს, რომ ეროვნული უსაფრთხოება, როგორც უმნიშვნელოვანესი ამოცანა პირველად ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში - 1904 წელს ახსენა

თ. რუზველტმა პანამის არხთან დაკავშირებით. ნაშრომში მოყვანილია სოციალური უსაფრთხოების განმარტება; მისი, როგორც პრობლემის მიზეზები; ინდიკატორთა სისტემა.

ნაშრომი შესრულებულია აშშ-ს მაგალითზე. განხილულია სოციალური პოლიტიკის ეკონომიკური, სამართლებრივი აქტები, რომლებიც ქვეყანაში არეგულირებს სოციალურ პოლიტიკას. განხილულია ქვეყნის სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა პუნქტების მიხედვით და ჩატარებულია მათი ანალიზი ბოლო წლების ციფრობრივი მონაცემების საფუძველზე.

27. ნაშრომში განხილულია იპონიის ძირითადი ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელების ისტორია და პრინციპები. გაანალიზებულია იაპონიაში მიმდინარე ეკოლოგიური მდგომარეობა, დასახულია კონკრეტული მიმართულებები და გზები არსებული პრობლემების გადაჭრისთვის. მოცემულია ეკოლოგიური უსაფრთხოების გნხორციელების მთავარი პრინციპები და ღონისძიებები.

იაპონიამ, მიუხედავად ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპებისა, მოახერხა გადაეჭრა ეკოლოგიური პრობლემები, რომლებიც დაკავშირებული იყო სამრეწველო დაბინძურებასთან. მისი გამოცდილება ამ სფეროში. იაპონიის ისტორიული ეპოქალური გადაწყვეტილება იყო „ოზონის ფენის დაცვის შესახებ“ კანონის მიღება. მან მიიღო მისი „ძირითადი ეკოლოგიური კანონის“ განახლებული ვერსია, რომელმაც საფუძველი დაუდო ახალ ეკოლოგიურ პოლიტიკას, რისი გაზიარებაც მოახდინა მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ. იაპონიამ შერამცირა მავნე გაზების გამოფრქვევა ატმოსფეროში და შედის იმ ქვეყნების ხუთეულში, რომლებიც პასუხისმგებლები არიან კლიმატის ცვლილების პრობლემებზე. მას შეაქვს უდიდესი წვლილი ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების შექმნისა და დაბერგვის საქმეში. სუფთა ჰაერისათვის ბრძოლის მიმართულებით იაპონიაში იქმნება უფრო სრულყოფილი ძრავები სატრანსპორტო საშუალებებისათვის, ინერგება ელექტროძრავიაბი ტანსპორტი, კერძოდ, ჰიბრიდული ავტომობილები, რომელთაც გააჩნიათ საწვავის მაღალი ეკონომია და ნაკლები გამონაბოლქვი.

განხილულია ეკოლოგიური უსაფრთხოების საქმეში ადამიანური ფაქტორის მთავარი როლისა და მნიშვნელობის შესახებ. განხილულია კონკრეტული წინადადებები იაპონიაში ,,მწვანე მაღალტექნოლოგიური განვითარების„ მიღწევისათვის და გაუმჯობესებისათვის.

7. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

7.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

7.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN;

გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

2.

7.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI;
ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით; გვერდების რაოდენობა

1. **პაპავა ვლადიმერ, ჭარაია ვახტანგ.** "On the Inflation and its Modifications in the Era of Global Pandemic: The Case of Some ADB Countries". Journal of Asian Finance, Economics and Business. ISSN 2288-4645, ტომი 9, No. 9, გვ. 7-17, doi:10.13106/jafeb.2022.vol9.no8.0007.

2. **ხუსკივაძე მამუკა, თოთლაძე ლია.** The Impact of Human Capital and Innovation Determinants on Economic Growth: Evidence from Georgia. International Journal of Business & Management Studies. ISSN 2694-1430 (Print), 2694-1449 (Online) Volume 03; Issue no 09: September, 2022, p. 28-33. https://doi.org/10.56734/ijbms.v3n9a4

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სტატიაში განხილულია გლობალური პანდემიის დროს აზია-წყნარი ოკეანის განვითარებად რეგიონში ინფლაციით გამოწვეული პრობლემები და შემოთავაზებულია პრობლემის გადაწყვეტის არასტანდარტული გზები. რეალობა კი ისაა, რომ სამომხმარებლო კალათაში შემავალი პროდუქტების ზოგიერთი ჯგუფი (მაგალითად, არასეზონური ხილი, ელექტრონიკა, ავეჯი, სასტუმროსა და რესტორნების მომსახურება და ა.შ.) არ ასახავს ღარიბთა საჭიროებებს, რომლებიც შეადგენენ მოსახლეობის უმრავლესობას განვითარებად ქვეყნებში. იმავდროულად, ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი მოძველებული და არასანდოა იმის გამო, რომ ეგზოგენური ფაქტორები (იმპორტირებული ინფლაცია, ნავთობის ფასების რყევა, მიწოდების გლობალური ჯაჭვების რღვევა, რუსეთ-უკრაინის ომი და ა.შ.) არ ექვემდებარება კონტროლს, განსაკუთრებით, განვითარებად ქვეყნებში. ინფლაციის ინდექსი და ინფლაციის თარგეთირების მექანიზმი, სამწუხაროდ, სრულად არ ასახავს როგორც საზოგადოების, ისე მთავრობისა და ცენტრალური ბანკის მოლოდინებს. სტატიაში შემოთავაზებულია ახალი სტატისტიკური მაჩვენებელი, რომლებიც მედიკამენტების, კომუნალური და სურსათის ფასების რყევებს ასახავენ.

2. ოცდამეერთე საუკუნის ჰიპერკონკურენტული გლობალური ეკონომიკა გახდა ინოვაციების, ტექნოლოგიების, პროდუქტიულობის, ახალი ცოდნისა და უნარების ეპოქა, რომელიც ორიენტირებულია მდგრად და ინკლუზიურ ზრდაზე. ადამიასეული კაპიტალი ერთ-ერთი ფუნდამენტური ფაქტორია მდგრადი და ინკლუზიური ზრდის უზრუნველსაყოფად. ადამიანური კაპიტალის ფორმირების პროცესი ხანგრძლივია და მასზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი. მისი გაზომვა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. პანდემიით გამოწვეულ ნეგატიურ ეფექტებს დაემატა რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად გამოწვეულ ჰუმანიტარულ, ეკონომიკურ, ლოგისტიკურ და სხვა სახის პრობლემებს, რომელმაც გლობალური ხასიათი მიიღო და მეტ-ნაკლებად სიმძიმით შეეხო მსოფლიოს ყველა ქვეყანას.

კვლევაში წარმოადგენილია ადამიანისეული კაპიტალის გაზომვისა და ინოვაციური აქტივობის ინდიკატორების თეორიული კონცეფციები. ნაშრომში შესწავლილია ადამიანისეული კაპიტალის და ინოვაციური საქმიანობის როლი ქვეყნის განვითარებაში საქართველოს მაგალითზე. ამ მიზნით აგებულია და შეფასებულია მრავლობითი რეგრესიის მოდელები. მოდელებსა და კოეფიციენტის მნიშვნელოვნებაზე დაფუძნებული ემპირიული შედეგები მიუთითებს მიზეზობრიობაზე ადამიანისეულ კაპიტალს, ინოვაციურ აქტივობასა და საქართველოს ეკონომიკურ ზრდას შორის.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

მითითება: აქ მხოლოდ კონფერენციის კრებულებში გამოქვეყნებული მოხსენებები ბეჭდური ISBN-- ის და ელექტრონული ISSN-ის მითითებით

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **აბესაძე რ.** პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებულში "ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები" (27 ნოემბერი, 2022), თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, 2022. ISBN 978-9941-36-049-7, E ISSN 2587 – 4691;

2. **აბესაძე რ.,** ბიბილაშვილი ნ., კურატაშვილი ქ. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და მათი განვითარების პრობლემები საქართველოში. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებულში "ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები" (27 ნოემბერი, 2022), თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, 2022. ISBN 978-9941-36-049-7, E ISSN 2587 – 4691;

3. **პაპავა ვლადიმერ., თაფლაძე თამარ** «О некоторых модификациях глобализации», პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებულში "ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები" (27 ნოემბერი, 2022), თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, 2022. ISBN 978-9941-36-049-7, E ISSN 2587 – 4691, E ISSN 2587 – 4691;

4. **პაპავა ვლადიმერ.**"On The Supply-Chainflation" საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებულში „კოვიდ-19 პანდემია და ეკონომიკა. უნივერსიტეტის დაარსებისა და ეკონომიკისა და ბიზნასის ფაკულტეტის დაარსების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. საქართველო, თბილისი, 8 თებერვალი, 2022 წელი" თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022. ISBN 978-9941-36-061-9 (pdf);

5. **პაპავა ვლადიმერ.**"On the Functional Types of Globalization", საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებულში „თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში" (თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022, ISBN 978-9941-36-061-9.

6. **ბურდული ვახტანგ.** Предпосылки и направления инновационной перестройки отраслевой структуры экономики Грузии в условиях новой технологической революции. – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებულში "ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები" (27 ნოემბერი, 2022), თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, 2022. ISBN 978-9941-36-049-7, E ISSN 2587 – 4691;

7. **გიორგი ბერულავა.** The Employment Growth across Georgian Regions: Urban-Rural Linkage Context. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებულში "ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები" (27 ნოემბერი, 2022), თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, 2022. ISBN 978-9941-36-049-7, E ISSN 2587 – 4691;

8. **ხუსკივაძე მამუკა, თოთლაძე ლია, ვეშაპელი გივი.** ადამიანისეული კაპიტალის როლი ინოვაციური აქტივობის დეტერმინანტების ფორმირებაში. IV ეროვნული კონფერენცია.

9. **ხუსკივაძე მამუკა.** საქართველოს ტყის რესურსების ოპტიმალური გამოყენების ზოგიერთი საკითხი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები", ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბილისი, 2022

10. ხუსკივაძე მამუკა, თოთლაძე ლია. ეკოლოგიური უსაფრთხოება, როგორც მდგრადი განვითარების ფაქტორი: ბენელუქსის ქვეყნების გამოცდილება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი მე-7 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: "გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში", თბილისი, 2022. ISBN 978-9941-36-061-9 (pdf)

11. **ჯავახიშვილი რევაზ.** „ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები". ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული "ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები" (27 ნოემბერი, 2022), თბილისი. ISBN 978-9941-36-049-7

12. **კვარაცხელია მურმან.** „ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები - ეკონომიკური კრიზისების გენეზისი", ეკ. მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. გიორგი წერეთლის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. თბ. 2022წ. გვ. 58-66. ISBN978-9941-36-049-7, E ISSN 2587 – 4691;

13. **ლაზარაშვილი თეა, მამალაძე ირინე.** ეკონომიკური ზრდა, როგორც სიღარიბის დაძლევის მნიშვნელოვანი ფაქტორი. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული "ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები", 27 ნოემბერი, 2022, თბილისი. ISBN 978-9941-36-049-7, E ISSN 2587 – 4691;

14. **ლაზარაშვილი თეა, კაკულია ნაზირა.** რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა საქართველოს მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. 4-5 ნოემბერი, 2022, თბილისი. ISBN 978-9941-36-061-9 (pdf)

15. **ლაზარაშვილი თეა, კაკულია ნაზირა.** გარემოსდაცვითი მდგრადობის ცალკეული საკითხები და სახელმწიფო პოლიტიკის ფექტიანობა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკლულტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „შრომის ბაზრის ახალი გამოწვევები: COVID -19 პანდემიის კონტექსტში".10 თებერვალი, 2022, ქუთაისი, საქართველო. IBSN 978-9941-495-51-9

16. **დათუნაშვილი ლინა.** „ახალი ტექნოლოგიების ინოვაციური განვითარების ასპექტები მემცენარეობაში (მსოფლიო გამოცდილება)". თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული "ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები", 27 ნოემბერი, 2022, თბილისი. ISBN 978-9941-36-049-7, E ISSN 2587 – 4691;

17. **კაკულია ეთერი, გოგოხია თეიმურაზ.** COVID-19 -ის პანდემია: მცირე და საშუალო ბიზნესის შედეგები საქართველოში. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული "ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები", 27 ნოემბერი, 2022, თბილისი. ISBN 978-9941-36-049-7, E ISSN 2587 – 4691;

18. **თოთლაძე ლია, თაფლაძე თამარ, ვეშაპელი გივი.** ინოვაციური აქტივობის დეტერმინანტები: აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ანალიზი.თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული "ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები", 27 ნოემბერი, 2022, თბილისი. ISBN 978-9941-36-049-7, E ISSN 2587 – 4691;

19. ბერიშვილი ხათუნა. ,,საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლება Covid-19 პანდემიის და პოსტპანდემიურ პირობებში"-ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის დაარსებისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია COVID 19 პანდემია და ეკონომიკა. 8 თებერვალი,2022, თბილისი.

20. **ბერიშვილი ხათუნა.** ბიზნესის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, როგორც კოლექტივიზმის შერბილებული ფორმა. ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პ.გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. ეკონომიკურ მეცნიე-რებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული "ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები", 27 ნოემბერი, 2022, თბილისი. ISBN 978-9941-36-049-7, E ISSN 2587 – 4691;

21. **ბერიშვილი ხათუნა, არნაძე მ.** „ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის როლი თანამედროვე გლობალურ ბიზნესში'',ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მე-7 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: "გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. 4-5 ნოემბერი, 2022, თბილისი.ISBN 978-9941-36-061-9 (pdf)

22. ბერიშვილი ხ., შენგელია თ., ჟორჟოლიანი თ. კულტურული ფასეულობების იდენტიფიცირება და ზეგავლენა საზოგადოების ეკონომიკურ პროგრესზე.თსუ-ს მეშვიდე სამეცნიერო კვლევითი კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. 2022. ISBN 978-9941-36-061-9 (pdf)

23. **ბრეგვაძე გიორგი.** საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსი საქართველოში. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული "ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები", 27 ნოემბერი, 2022, თბილისი. ISBN 978-9941-36-049-7, E ISSN 2587 – 4691;

24. **დავლაშერიძე ნატა, თვაური შოთა.** ახალი ტექნოლოგიური რევოლუციის წინაპირობები 2022:

აშშ, ევროკავშირი, ჩინეთი. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული "ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები", 27 ნოემბერი, 2022, თბილისი. ISBN 978-9941-36-049-7, E ISSN 2587 – 4691;

25. **დავლაშერიძე ნატა.** ანარქიზმი და თანამედროვეობა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვარლამ ჩერქეზიშვილისადმი მიძღვნილი II დარგთაშორისი სამეცნიერო კონფერენცია (28 მაისი 2022), თბილისი.

26. **თეთრაული ციცინო.** ინოვაციების როლი ეკონომიკის განვითარებაში და მაღალი ტექნოლოგიების გამოწვევები. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული "ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები", 27 ნოემბერი, 2022, თბილისი. ISBN 978-9941-36-049-7, E ISSN 2587 – 4691;

27. **მელაშვილი მედეა, ქისტაური ნუნუ, ქველაძე ქეთევან.** სოციალური ინოვაციების უსაფრთხოების ზოგიერთი საკითხი. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული "ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები", 27 ნოემბერი, 2022, თბილისი. ISBN 978-9941-36-049-7, E ISSN 2587 – 4691;

28. **ქავთარაძე თენგიზ.** მატყლის პარსვის ინოვაციური სრულყოფის საკითხები საქარტველოს მეცხოველეობაში. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული "ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები", 27 ნოემბერი, 2022, თბილისი. ISBN 978-9941-36-049-7, E ISSN 2587 – 4691;

29. **ქისტაური ნუნუ, ქველაძე ქეთევან, მელაშვილი მედეა.** ეკონომიკური ინოვაციების უსაფრთხოების პრობლემის შესახებ. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული "ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები", 27 ნოემბერი, 2022, თბილისი. ISBN 978-9941-36-049-7, E ISSN 2587 – 4691;

30. **ქველაძე ქეთევან, ხუსკივაძე მამუკა, მელაშვილი მედეა, ქისტაური ნუნუ.** თანამედროვე ტექნოლოგიების ინოვაციური განვითარების ასპექტები ტურისტულ მომსახურებაში. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული "ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები", 27 ნოემბერი, 2022, თბილისი. ISBN 978-9941-36-049-7, E ISSN 2587 – 4691;

31. **ქველაძე ქეთევან, მელაშვილი მედეა, ქისტაური ნუნუ, მიქატაძე ცირა.** ენოტურიზმის განვითარების პერსპექტივები პოსტპანდემიურ საქართველოში. და ბიზნესის ფაკულტეტი. უნივერსიტეტის დაარსებისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კოვიდ 19 პანდემია და ეკონომიკა". 8 თებერვალი, 2022, თბილისი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ISBN 978-9941-491-70-2 (pdf)

32. **წერეთელი ზურაბ.** ინოვაციური საქმიანობის განხორციელების ძირითადი პრობლემები და პესპექტივები. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული "ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები", 27 ნოემბერი, 2022, თბილისი. ISBN 978-9941-36-049-7, E ISSN 2587 – 4691;

33. ჟორჟიკაშვილი ნინო. ბაზელ III-ის სტანდარტების საფუძველზე შემუშავებული მაკროპრუდენციული ინსტრუმენტების ეფექტიანობის შეფასება საქართველოსათვის.თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული "ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები", 27 ნოემბერი, 2022, თბილისი. ISBN 978-9941-36-049-7, E ISSN 2587 – 4691;

34. ჟორჟიკაშვილი ნინო. მაკროპრუდენციული პოლიტიკის სისტემური რისკების წარმომქმნელი ფაქტორების იდენტიფიცირება საქართველოსათვის.უნივერსიტეტის დაარსებისა და ეკონომიკისა და ბიზნასის ფაკულტეტის დაარსების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. საქართველო, თბილისი, 8 თებერვალი, 2022 წელი" თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022. ISBN 978-9941-36-061-9 (pdf)

35. დვალიშვილი ლია, დავითაშვილი სოფიო. კლიმატის ცვლილება და გარემოზე მისი ზეგავლენის თეორიული საკითხები. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული "ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები" (27 ნოემბერი, 2022), თბილისი. ISBN 978-9941-36-049-7, E ISSN 2587 – 4691;

36. ნოზაძე ზურაბ. საერთაშორისო ინოვაციური თანამშრომლობა, როგორც ნაციონალური ინოვაციური სისტემის განვითარების ფაქტორი. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული "ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები", 27 ნოემბერი, 2022, თბილისი. ISBN 978-9941-36-049-7, E ISSN 2587 – 4691.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

4. სტატიაში განხილულია მაღალი ინფლაციის ეკონომიკური ბუნება, რომელიც COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის შედეგია. ნაჩვენებია, რომ ინფალციის მაღალი დონე განპირობებულია ისეთი ფაქტორების ერთდროულად მოქმედებით, როგორიცაა მოთხოვნის ზრდა და მიწოდების ვარდნა. ამასთან დომინანტურია მიწოდების ვარდნა, რომელიც მიწოდების გლობალური ჯაჭვების რღვევითაა გამოწვეული. ამ მიზეზის გამო მოცემულ ინფლაციას „მიწოდების ჩეინფლაცია" ეწოდება. რადგანაც, მიწოდების ჩეინფლაციის მიზეზი არ არის მაკროეკონომიკური, ამიტომ ცენტრალური ბანკების რეაქცია ამ მაღალ ინფლაციაზე ადეკვატური არ არის. მიწოდების ჩეინფლაციის პრობლემის გადაწყვეტა ეფუძნება მიწოდების ახალი გლობალური ჯაჭვების ქსელების შექმნას, რომლებიც მაქსიმალურად გაითავლისწინებენ COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებულ რისკებს და ასევე მომავალში შესაძლო გლობალურ საფრთხეებს.

5. სტატია იკვლევს გლობალიზაციის ფუნქციონალურ ტიპებს COVID-19-ის პანდემიისა და რუსეთსა და დასავლეთს შორის დაპირისპირების კონტექსტში. ნაჩვენებია, რომ პანდემიის დროს ტურბულენტური გლობალიზაცია ჩამოყალიბდა, რომელიც ბევრმა დეგლობალიზაციის პროცესის დასაწყისად აღიქვა. რუსეთის ომმა უკრაინაში და განსაკუთრებით დასავლეთის ეკონომიკურმა სანქციებმა რუსეთის წინააღმდეგ მსოფლიო ეკონომიკის კონფრონტაციული ბუნება გაამძაფრა, რამაც ტურბულენტური გლობალიზაციის კონფრონტაციული გლობალიზაციით ჩანაცვლება გამოიწვია. თავის მხრივ, ტურბულენტურ გლობალიზაციას წინ

ჰიპერგლობალიზაცია უძღოდა, ხოლო კონფრონტაციულ გლობალიზაციას კი გლობალიზაცია ეკონომიკური უსაფრთხოებით ჩაანაცვლებს.

8. თანამედროვე სამყარო უდიდესი გამოწვევების წინაშე დგას. პანდემიით გამოწვეული ნეგატიური გავლენებს დაემატა რუსეთ-უკრაინის ომის გამო წარმოქმნილი ჰუმანიტარული, ეკონომიკური, ლოჯისტიკური და სხვა სახის პრობლემები, რომლებმაც გლობალური ხასიათი მიიღო და მეტ-ნაკლები სიმწვავით შეეხო მსოფლიოს ყველა ქვეყანას. ამ რეალობაში, ცხადია ყველა ქვეყნისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია შეინარჩუნოს განვითარების ტემპები, იზრუნოს მაკროეკონომიკურ გარემოზე. ოცდამეერთე საუკუნეში სწორედ ინოვაციური განვითარება ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ოპტიმალურ გზად, ამიტომ არსებითია ქვეყნის ინოვაციური აქტივობის შეფასება და ზრდის უზრუნველყოფა.

აღნიშნული საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ნაშრომში გადმოცემულია ინოვაციური აქტიურობის მაკროდეტერმინანტების ანალიზი. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ადამიანისეული კაპიტალის წვლილზე ქვეყნის ინოვაციური აქტიურობის შეფასებისათვის გაანგარიშებულ მაკროდეტერმინანტებზე. კვლევაში ასევე მოცემულია საქართველოს აღნიშნული ინდექსებისა და მახასიათებლების დინამიკის ანალიზი.

9. სტატიაში განხილულია საქართველოში ტყის რესურსების ოპტიმალური გამოყენების საკითხები და წინასწარ არის გადმოცემული ამ ოპტიმიზაციის შესაბამისი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი.

10. მდგრადი განვითარება, როგორც საზოგადოების განვითარების სისტემა, რომლის მიზანია საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით ადამიანის კეთილდღეობის, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდა, ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმად, დღევანდელობის მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს. იგი უპირველეს ყოვლისა ორიენტირებულია საზოგადოების რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი უზრუნველყოფაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ქვეყნების პრიორიტეტული ამოცანად შეიძლება მივიჩნიოთ.

ნაშრომში განხილულია მდგრადი განვითარების ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების ინდიკატორები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეკოლოგიურ ინდიკატორებს თეორიულ და პრაქტიკულ ჭრილში. ბენელუქსის ქვეყნების მოდელი ითვლება ერთ-ერთ წარმატებულ და საინტერესო მოდელად და ამიტომ ნაშრომში გაანალიზებულია ბენელუქსის ქვეყნების გარემოსდაცვითი პოლიტიკის და ეკოლოგიური უსაფრთხოების თავისებურებები და შესაბამისი ინდიკატორები.

25. თავის ისტორიულ განვითარებაში ანარქიზმი, როგორც სოციალური თეორია და სოციალურ-პოლიტიკური ტენდენცია, რომელმაც გაიარა რამდენიმე ეტაპი, აგრძელებს ცხოვრებას დღესაც, თუმცა მას არ გააჩნია მასობრივი მიმზიდველობის ძალა, რომელსაც მისი მიმდევრები ეყრდნობიან. თანამედროვე ანარქისტული მოძრაობა ძალიან მრავალფეროვანია და მრავალ მიმდინარეობას მოიცავს. „ძველ“ ანარქისტებთან, ანუ ანარქიზმის კლასიკური ტენდენციების წარმომადგენლებთან, ძირითადად ანარქო-სინდიკალისტებთან და ანარქო-კომუნისტებთან ერთად, რომელთა იდეებს ავრცელებდნენ მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართველი ანარქისტები, მათ შორის ვარლამ ჩერქეზიშვილი. მაგალითად, ისეთი მოძრაობა, როგორიცაა ანარქო-პრიმიტივიზმი (ცივილიზაციის უარყოფა დეინდუსტრიალიზაციის გზით), "ანარქო-უტოპები". „ანარქო-პაციფისტები“, არისტოკრატი ანარქისტები და ა.შ. ბოლო 15-17 წლის განმავლობაში ანარქისტული იდეების მიმდევართა საქმიანობა ხშირად ასოცირდება მასობრივ ანტიგლობალიზაციის მოძრაობასთან. დღეს ანარქიზმი უფრო ფილოსოფიური მოძრაობაა, ვიდრე მმართველობის მოდელი.

8. 2. უცხოეთში

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **კვარაცხელია მურმან.** «Теоретические аспекты инвестиционной политики». III საერთაშორისო სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენცია "ეკონომიკის განვითარება და ბიზნესის ადმინისტრირება: სამეცნიერო მიმდინარეობები და გადაწყვეტილებები". უკრაინის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ეროვნული საავიაციო უნივერსიტეტი ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი. უკრაინა. 23.05.2022.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მიერ 2022 წელს, გარდა გეგმური თემებისა, შესრულდა შემდეგი მნიშვნელოვანი სამუშაოები

I. 2022 წელს გამოიცა:

1. სამენოვანი ბეჭდურ-ელექტრონული საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი, **„ეკონომისტი“,** რომელიც ინდექსირებულია **ERIH PLUS**-ში და აქვს DOI კოდი (გამოიცა 4 ნომერი);
2. **`თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული"**, ტ. XV;
3. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული (ბეჭდური და ონლაინ ვერსია) **“ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები”.**

II. ინსტიტუტში 2022 წელს სულ გამოიცა 74 ნაშრომი (6 დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდით, დანარჩენი ISSN ან ISBN კოდით), მათ შორის:

1. მონოგრაფია საქართველოში _ 1;
2. ანალიტიკური ბროშურა საზღვარგარეთ (აკად. ვლადიმერ პაპავა) _ 2;
3. სტატიები იმპაკტ-ფაქტორიან ჟურნალებში (აკად. ვლადიმერ პაპავა) _ 1;
4. სტატიები ჟურნალებში, რომელებიც ინდექსირებულია ERIH PLUS-ში _ 10;
5. სტატიები ჟურნალებში და სამეცნიერო შრომათა კრებულებში _ 29
   მათ შორის

P 5.1. საქართველოში _ 27

5.2. საზღვარგარეთ _ 2

6. სტატიები საერთაშორისო კონფერენციათა კრებულებში _ 37
   მათ შორის:

6.1. საქართველოში _ 36

6.2. საზღვარგარეთ _1

III. ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარდა:

1. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია -“ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები”.

2. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა კომისიასთან, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან ერთად ჩატარდა საქართველოს ეკონომისტთა IV ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია თემაზე _ **„მსოფლიო ეკონომიკის არქიტექტურის ცვლილება და საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები "**;

3. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომები, რომელზედაც მოსმენილი იქნა 25 სამეცნიერო მოხსენება.

IV. გამოქვეყნდა საგაზეთო სტატიები და ინტერვიუ, ასევე გადაიცა არაერთი სატელევიზიო ინტერვიუ.

V. დაარსდა ინსტიტუტის გაზეთი – **„ეკონომიკა და საზოგადოება"** (დაფუძნების ინიციატორი და მთავარი რედაქტორი – პროფესორი რამაზ აბესაძე, საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე – აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა). გაზეთის, როგორც მასმედიის ნებისმიერი საშუალების, მთავარი ფუნქციაა, საზოგადოებას მიაწოდოს სწორი ინფორმაცია ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებზე. იგი განსაკუთრებით ორიენტირებულია ეკონომიკური პრობლემების გაშუქებაზე, თუმცა, რადგან ეკონომიკა ორგანულადაა დაკავშირებული საზოგადოების ნებისმიერ სფეროსთან, მასში ასევე აისახება ადამიანთა საქმიანობის სხვა მიმართულებებიც (განათლება, მეცნიერება, კულტურა, სპორტი და ა, შ,), გაზეთში ქვეყნდება კვალიფიციური ექსპერტული შეფასებები, სამეცნიერო და პოპულარუ**ლი სტატიები,** ინტერვიუები, შეხედულებები, რეკლამები, განცხადებები. მასში, ბუნებრივია, აისახება უნივერსიტეტში (თსუ), მის ფაკულტეტებზე და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესები. მასში ასევე აისახება სტუდენტთა (დოქტორანტები, მაგისტრანტები, ბაკალავრები) მოსაზრებები და შეხედულებები.

VI. გრძელდა მუშაობა „დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედიის გამოსაცემად".

VII. ინსტიტუტის გამომცემლობის მიერ მომზადდა 2 სამეცნიერო შრომათა კრებული, ჟურნალის 4 ნომერი.

VIII. ინსტიტუტის თანამშრომლები არიან არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალისა და შრომათა კრებულების სარედაქციო კოლეგიის წევრები, სადისერტაციო და სამაგისტრო ნაშრომების რეცენზენტები და სხვა.

ინსტიტუტის დირექტორი, სამეცნიერო
საბჭოს თავმჯდომარე, ეკონომიკის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. რ. აბესაძე